პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეული ორგანო

№ 34 (87), კვირა, 14 ოქტომბერი, 1945 წ. ფასი 1 მანეთი.

დღეს ნომერშია

— თანამედროვეობის თემა (მოწვინავე).
— **კარლო კალაძე**—სიყვარულის და სიმღერის დრო არის (ლექსი).
— **ვარლამ ჟურული** — კახური სიმღერები (ლექსები).
— საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პლენუმი.
— ქართველი მოქანდაკეები და მხატვრები საკავშირო გამოფენის წინ.
— **ალექსანდრე ბეიშვილი** — ჯონ ბ. პრისტლი კახეთში.
— **მაყვალა მრევლიშვილი** — თავთავებში (ლექსი).
— **შალვა აფხაიძე** — ლიტერატურული შენიშვნები.
— **შალვა კვასხვაძე** — ოკრომოცდაათიანი წლების ერთი სალოცნი.
— **დავით შამათავა** — ნ. ბარათაშვილი ქართველი პოეტები.
— **გიორგი ნატროშვილი** — „სიმღერა ფაფა თაშვილისა“.
— რეჟისორთა რესპუბლიკური თათბირი.
— საიათ-ნოვასადმი მიძღვნილი სალამო.
— **შალვა კაშმაძე**—ფილიმონ ქორიძე.
— ლიტერატურული კალენდარი: მარი ბროსე.
— ქრონიკა და ინფორმაცია.

თანამედროვეობის თემა

ჩვენმა ქვეყანამ ბრწყინვალე გამარჯვებით დაამთავრა ომი დასავლეთსა და აღმოსავლეთში. დაიწყო ახალი ეტაპი ჩვენი სამშობლოს განვითარების ისტორიაში, დადგა მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდი. ფართოდ გაიშალა გრანდიოზული აღდგენითი სამუშაოები რამ რაიონებში, რომლებმაც შემოსეული მტრის თავდასხმა განიცადეს. ქვეყანა იშუშებს ომისაგან მიყენებულ ჭრილობებს. სდგება სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა, რომელიც დიადი საბრძოლო პროგრამა იქნება ჩვენი ხალხის სახელოვანი მშვიდობიანი შრომისა.

საბჭოთა ადამიანმა არაერთგზის ისახელა თავი შრომისა და ბრძოლის ფრონტზე; ახლა ეს შემოქმედებითი პათოსი, ეს მძლავრი შემოქმედებითი აღტკინება ახალი ძალით იჩენს თავს გამარჯვებული საბჭოთა ადამიანის საქმეებში. ჩვენ ყოველდღიურად მოწმენი ვართ ახალ-ახალი წარმატებისა სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ფრონტზე: ამჟამად ქალაქებსა და სოფლებში ბრუნდებიან წითელი მებრძოლები. ესენი უმდიდრესი სულის, ფართო გაქანების ადამიანები არიან. მათ თან მოაქვთ ის დიდი გამოცდილება, ის გამჭრიახობა, რომელიც სამამული ომის ფრონტზე შეიძინეს, მათ თან მოჰყვებათ ჩვეულები მსოფლიოში ყველაზე მოწინავე არმიისა, რომლის რიგებში ყოფნის დროს საბჭოთა ადამიანები ესოდენი მაღალი ოსტატობით ანხორციელებდნენ ბრძნული სტალინური სტრატეგიის გეგმებს. ამ დემობილიზებულ მებრძოლთა სახით ჩვენი ქვეყნის შრომითი არმიას ახალი, ძლიერი ძალა ემატება, და ახლა უფრო მაღალი, უფრო წარმატაცი იქნება შრომითი ღვაწლი გამარჯვებული საბჭოთა ადამიანისა.

თავისთავად ცხადია ახლა საბჭოთა მწერლობის ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს სწორედ ეს პროცესები; გამარჯვების სიხარულით, საბჭოთა ადამიანის ბუნებრივი სიამაყით, თავისუფალი და ბედნიერი შრომის ენტუზიაზმით უნდა იყოს გამსჭვალული ყოველი ახალი ნაწარმოები საბჭოთა მწერლისა. მაქსიმ გორკი ამბობდა თავის თავზე: „...ის ძალა, რომელმაც გორკი აქცია იმად, რაც იგი არის, მდგომარეობს იმაში, რომ მან პირველმა რუსულ ლიტერატურაში, და შეიძლება, პირველმა ცხოვრებაში პირადად გაიგო უდიდესი მნიშვნელობა შრომისა, იმ შრომისა, რომელიც ჰქმნის ყოველსავე ძვირფასს, ყოველსავე ლამაზს და ყოველსავე დიადს ამ ქვეყნად“.

საბჭოთა ადამიანის შრომის სიდიადე მთელი თავისი მრავალფეროვნებით არის ახლა გადაშლილი ჩვენს თვალწინ. მხოლოდ საჭიროა მისი გულდასმით შესწავლა, ღრმა შემოქმედებითი ინტერესი, ახლის შეგრძნობის უნარი,—აი ეს არის ჭეშმარიტი გზა საბჭოთა ლიტერატურის აყვავებისა. ჩვენი მწერლობა მუდამ წინ მიჰყავდა დაუღალავ ცნობისმოყვარეობას ყოველი ახალი მოვლენისადმი, მგზნებარე სიყვარულს თანამედროვეობისადმი, ამ მხრივ ქართული საბჭოთა მწერლობა მუდამ ღირსეულად იცავდა სახელოვან ტრადიციებს კლასიკური ლიტერატურისა, რომლის წარმომადგენელნი ხალხთან ერთი სიცოცხლით ცოცხლობდნენ.

ქართული საბჭოთა მწერლობის შემოქმედებითს პრაქტიკაში არის ცალკე შემთხვევები, როცა ესა თუ ის თვალსაჩინო საბჭოთა პოეტი თავის ქმნილებებში ვერ გამოხატავს საბჭოთა ხალხის ახლანდელ ამაღლებულ სულიერ განწყობილებებს. თვალსაჩინო ქართველი პოეტების ერთი ნაწილი გატაცებულია ისეთი თემებით, რომელნიც არ ეხმაურებიან გამარჯვებული საბჭოთა ადამიანის ფსიქოლოგიას, არ გამოხატავენ ჩვენს სინამდვილეს და არსებითად წარმოადგენენ განმეორებას იმისას, რაც უკვე არაერთხელ ითქვა ლიტერატურაში. ქართულ საბჭოთა პრესაში უკვე არაერთხელ იყო აღნიშნული ეს სახიფათო ტენდენცია, ამ „ავადყოფობის“ წამალი—ცხოვრების უფრო ღრმად შესწავლაა, უფრო ახლოს მისვლა იმ ადამიანებთან, რომელთაც თავისი ხელით გამოსჭედეს ჩვენი ქვეყნის გამარჯვება და რომელნიც ახლა შრომითი გმირობის ახალ განმაცვიფრებელ მაგალითებს გვიჩვენებენ. საბჭოთა მწერალმა უნდა გვიჩვენოს მორალური ღირსებანი, ხასიათის მაღალი თვისებანი გამარჯვებულ საბჭოთა ადამიანისა.

ამ მხრივ ქართულ საბჭოთა პროზისა და პოეზიის სფეროში ამჟამად ყველაფერი თავის რიგზე არ არის. ქართულ მწერლობაში იგრძნობა გადაჭარბებული გატაცება ისტორიული წარსულის თემებით. არა ერთხელ აღნიშნულა ჩვენს პრესაში, რომ ხალხის ღვაწლმოსილ წინაპართა სულის მხატვრულ სახეებში აღდგენა, ისტორიული ჟანრის ნაწარმოებთა შექმნა—თავისთავად ძალზე საჭირო საქმეა, მაგრამ ამ წარსულმა არ უნდა დაჩრდილოს ათასჯერ უფრო დიდებული უფრო საამაყო, უფრო წარმტაცი თანამედროვეობა; ჩვენი დრო—ეს ყველაზე უფრო მაღალი მწვერვალია ხალხის განვითარების ისტორიისა. ეს სიმაღლე, ეს სიახლე და სიდიადე მთელი ძალით უნდა იგრძნოს და გამოხატოს საბჭოთა მწერალმა. ჩვენ ამისათვის ყველა ძალა და საშუალება გაგვაჩნია. საჭიროა მხოლოდ მთელი ძალღონის დაიაბვა.

თანამედროვეობის თემა— საბჭოთა მწერლის ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი

6. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად მოწვეული იქნება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურათა წარმომადგენლების მონაწილეობით.

პლენუმი გაიხსნება 1945 წლის 19 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში. პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნება:

1. 6. ბარათაშვილის პოეზია. მომხს. **ს. ჩიქოვანი** (ქართულ ენაზე); 2. 6. ბარათაშვილი და რუსული პოეზია. მომხს. **ბ. ინგოროყვა** (რუსულ ენაზე); 3. სტუმრების გამოსვლა (სიტყვები); 4. 6. ბარათაშვილის ლექსების თარგმანების კითხვა (წაიკითხავენ მთარგმნელები და მსახიობები).

მეორე სხდომაზე (20 ოქტომბერი დილა) მოსმენილ იქნება:

1. ბარათაშვილის სევდა. მომხს. **კ. კეკელიძე** (ქართულ ენაზე); 2. 6. ბარათაშვილი და ჟე-19 საუკუნის ქართული კლასიკური პოეზია, მომხს. **გ. ქიქოძე** (რუსულ ენაზე); 3. „6. ბარათაშვილის პიროვნება და ეპისტოლარული მემკვიდრეობა“, მომხს. **აკ. გაწერელია** (ქართულ ენაზე); 4. 6. ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ლექსების კითხვა; 5. 6. ბარათაშვილის ლექსების კითხვა (პოეტები და მსახიობები).

მესამე სხდომაზე (20 ოქტომბერს, საღამო) მოსმენილ იქნება:

1. ბარათაშვილი და ქართული საბჭოთა პოეზია, მომხს. **ბ. ულენტი** (რუსულ ენაზე); 2. 6. ბარათაშვილის პოეტიკა, მომხს. **კ. ჭიჭინაძე** (ქართულ ენაზე); 3. 6. ბარათაშვილის ლექსების თარგმანები, მომხს. **ს. იორდანიშვილი** (რუსულ ენაზე).

კიევის კინოსტუდიამ მიიღო ამერიკული ჯილდო

კიევის კინოსტუდიამ ფილმისათვის „ცისარტყელა“ მიიღო ამერიკის კინოსა და რადიოს ასოციაციის ჯილდო.

ფილმი „ცისარტყელა“, რომელიც გადაღებულია ვანდა ვასილევსკაიას სცენარის მიხედვით, უდიდესი წარმატებით სარგებლობდა ამერიკელ მაყურებელში. 14 კვირის განმავლობაში ნიუ-იორკის უდიდესი კინოთეატრი, სადაც ამ ფილმს უჩვენებდნენ, ვერ იტევდა მაყურებელს.

ამერიკის კინოსა და რადიოს ასოციაციამ სურათი „ცისარტყელა“ სცნო საუკეთესოდ 1944 წელში გამოშვებულ სურათებს შორის და დაადგინა კიევის კინოსტუდიას გადაეცეს ასოციაციის ჯილდო. ჯილდოს გადაცემა მოხდა საზეიმო ვითარებაში.

მხატვრები მარაბდაში

საქართველოს მხატვართა კავშირი აწყობს მხატვართა ექსკურსიას მარაბდაში. მხატვრები გაეცნობიან საქართველოს გენიალური პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის სამშობლო სოფელს და ადგილზე გააკეთებენ ჩანახატებს.

ექსკურსია ეწყობა ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 100 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით.

კარლო კალაძე

სიყვარულის და სიმღერის დრო არის

ფარჩის კაბით ბნელში გავიშრიალებ,
გიშრისთვალთან თვალით მისათვალი ვარ.
ეაჟკაცისთვის წელის დამშვენებელი
შავ ქარქაშში ჩაგებული ხმალი ვარ!
ფარჩის კაბით ბნელში გავიშრიალებ,
ერთი ვინმე შავთვალწარბა ქალი ვარ...

მე არ ვიცი ალმასი ვარ, ლალი ვარ,
დაკარგული ძველი ნატვრის თვალი ვარ,
თუ წარბებად შავის კალმით ნაწერი
საიათ-ნოვას მუხამბაზის ბწკარი ვარ...
ჩუმი ღელვით კლდეებს ვეალერსები
საყვედურით მობუტბუტე მტკვარი ვარ!

თუ ხან თაფლის სანთელივით მკრთალი ვარ,
ჩუმი სუნთქვით ჩასაკრობი ალი ვარ!
საყურეთა ჩრდილში გადაკარგული,
თვალდახუჭვით შისაგნები ხალი ვარ.
სიყვარულის და სიმღერის დრო არის,
მე კი ბანზე ჩუმად გადმომდგარი ვარ!

ჩემს მომღერალს ვუცდი ყელ-ამართული
ხელით გულთან ასატაცი თარი ვარ!
სიყვარულის და სიმღერის დრო არის,
წვიმის შემდეგ გამოსული დარი ვარ! —
ამამღერეთ, ცეკვით ამაფრთოვანეთ,
მკლავგაშლილი ღამის ნიავ-ქარი ვარ!

არა! ღამის ნიავ-ქარი კი არა,
თვით ქალაქის ღია გულის კარი ვარ.
ბესიკსა და საიათ-ნოვას ვეძახი,
გამარჯვებით შემოსული ჯარი ვარ...
ბესიკსა და საიათ-ნოვას ვეძახი,
ერთი ვინმე შავთვალწარბა ქალი ვარ!

ვარლამ ჟურული

კახური სიმღერები

ალაზნის ბალი

პატარა კახის მხარე ხარ,
წალკოტის თანაზიარი.
წყაროებ მოწანწკარე ხარ,
შენი ქვაც ლამაზი არი.
ათასი თვალი ვინატრე
შენი სიტურფის საცქერად.
ბევრი დიდება ვთქვი ადრე, —
წლებმა წაიღეს ნამქერად.
ნეტავ ისეთი ხმა მქონდეს,
როგორიც დედას ლევანას.

ნიავს სიმღერა დაჰქონდეს,
ტკბილად ართობდეს ქვეყანას
მაინც ვერ გითხრა, კახეთო,
სიტყვები შენი საფარი:
მნახეთ და გადამხატეთო,
სხვა ჩემისთანა სად არი!
მგოსნების გულის ფეთქვა ხარ,
ნათელი, მარად მზიანი.
შენ სილამაზეს ტყვედ ჰყავხარ,
ბალი ხარ ალაზნიანი.

ვნახე კახეთი

ვნახე ახალი ახმეტა,
რთველის დღეებში—მატანი.
ლექსმა სიტყვები ახვეტა
გულიდან ამონატანი.
ვნახე წინანდლის ვაზები,
ნეტავი სულ არ მენახა—
ლამაზო, ნუ ინაზები,
შენსავით დამწვა ვენახი.
ვნახე ილიას ყვარელი —
ნაშუქი მისი დიდებით.

ტკბილია და საყვარელი
სამშობლო კიდით-კიდემდი.
მხიბლავდა შილდის კალთები,
ფეხით შემოვვლე გრემიცა.
ძილშიაც თვალს ენათება
ჩემი მიწა და ჩემი ცა.
მამაპაპური ხელადით
ღვინოს მთავაზობს კახელი:
— მოდი, დავლოცოთ ბელადი,
ჩვენც ვიყოთ მისი მნახველი!

ახალი გურჯანული

შვრდი კი არა, შვიდასჯერ
მეტია იქ გურჯანელი,
სადაც ვაჟკაცთა სიმარჯვემ
დასცა ბერლინი შავბნელი.

ბევრი მოუკლავთ ნადირი,
უნახავთ სისხლის ფონები.
დედაო, შვილზე ნუ დარდობ,
მოვა და ჩაეკონები.
მოვა და კერას გინათებს
ვისაც დღედაღამ ელოდი,

გული სიხარულს იმატებს,
დასტკბება მშობელ მდელოთი.
მოვა და მაშინ გაჩნდება
ჩიტის რძეც გადანახული.
ლხინის თამადად დაჯდება,
დაუსხი კარდანახული!
მოვა, ვინც ხალხს იფარავდა,
სალამს მისცემენ ველებიც.
სუფრას გაშლიან მარანთან,
დასჭექენ გურჯანელები.

წინანდლის ვარდი

ჭკნებიან ვარდნი ლამაზნი,
არ ჭკნება ვარდი წინანდლის.
კახეთს დახატულს ალაზნით
ეშხი აქვს ნინოს სინათლის.
ბულბულს უხდება გალობა,
ვენახს — მტევნობა ვაზისა.

ვადიდოთ ვარდიქალობა
უტურფეს ქალწულისა.
ნინო წინანდლის ვარდია,
ბულბული—მისი მგოსანი;
ვარდის საფლავში დარდია,
მთვარე წევს პირსხივოსანი.

თელავის ჭადარი

ბევრის მომსწრე ხარ თელავო,
კახეთის გულიც მანდ არი.
მრავალ დრო-ჟამის მთელავი
ცას შეშრიალებს ჭადარი.
ხშირად ფიქრობდა მის ძირას
ერეკლე—ერის დიდება:
— სამშობლო არ გამიწირავს,
ჩემი მზე რად იბინდება!
— რად ინისლება კავკასი,
მყინვარი ყინულ-ნაბადა.

წინ მელის ბრძოლა ათასი,
მე თვითონ ბრძოლამ დამბადა! —
ათასწლოვან ხის ჩეროდან
მძიმე ფიქრებში გართული.
ალაზანს გადასცქეროდა
ბედი და სული ქართული.
ფოთოლს ნამები მოდინდა,
ცა იყო ჩამოღრუბლული;
კახს უგალობდა ტოტიდან
ძველ გალავანთან ბულბული.

გულის ძახილი

გომბორის მთაო ტყიანო,
გასხია მწვანე ნაბადი.
ლექსში რომ ვერ გახმიანო,
კლდესაც ცრემლებით გავბანდი
წინანდლის ზვარო ლამაზო,
ათასი ზვრიდან გიცანი.
მზემ დაგიმწიფა, აავსო
მტევნები რქაწითლისანი.
ალაზნის ველო პურადო,
ოქროსფერე ყანები,

გულს ჩახატული სურათო,
წავალ და დამენანები.
ალმახის წყალო, იორო,
ხტომით გაიჭერ მთადაბარ,
მტკვრისკენ ჩახჩახით იარე
მოძმე არაგვის თანაბარ.
ბალი ცისკარმა მონამა,
ვთქვი სიმღერები კახური.
თქვენი სიტურფის მონა ვარ
ცა-ფირუზ ქვეყნის მსახური.

ქართველი მოქანდაკეები და მხატვრები საკავშირო გამოფენის წინ

ფერწერის, გრაფიკის და სკულპტურის ნაწარმოებთა საკავშირო გამოფენაზე, რომელიც იხსნება მოსკოვში 7 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლუციის 28 წლისთავზე, საკმაო სისრულით იქნება წარმოდგენილი ქართველ მხატვართა და მოქანდაკეთა ნაწარმოებები. ქართველმა მხატვრებმა და მოქანდაკეებმა ამ გამოფენისათვის მზადება დიდი ხანია დაიწყეს. ბევრ მათგანს საკავშირო ხელოვნების საქმეთა კომიტეტისაგან დაკვეთილი ჰქონდა საგანგებო სურათებისა და ბიუსტების დამზადება.

სტალინური პრემიის ლაურეატმა **სილოვან კაკაბაძემ** ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— საკავშირო გამოფენაში ვმონაწილეობ. ორი ნაწარმოებით. ორივე ეს ნაწარმოები, შევასრულე საკავშირო ხელოვნების საქმეთა კომიტეტის დაკვეთით. ერთი მათგანია საბჭოთა კავშირის მარშლის ჟუკოვის ბიუსტი, მეორე—სტალინური პრემიის ლაურეატის, ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორის, ახალგაზრდა გამომგონებლის რაფიელ ილიას-ძე აგლაძის ბიუსტი. ორივე ბიუსტი ქვაშია გამოკვეთილი.

მარშალ ჟუკოვის ბიუსტში ვცდილობდი ამესახა დიდი სამხედრო მეცნიერი, სამხედრო საქმის შესანიშნავი ხელოვანი და დიდი ნებისყოფის ადამიანი.

ახალგაზრდა მეცნიერი რაფ. აგლაძის ბიუსტი შესრულებული მაქვს ნატურიდან.

გარდა ამისა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენისათვის დამზადებული მაქვს სოციალისტური შრომის გმირის მგელაძის, გენერალ-პოლკოვნიკ კ. ლესელიძის, საბჭოთა კავშირის გმირის კაპიტან ჩეჩელაშვილის, მედიცინის დოქტორის პროფესორ მალაევის ბიუსტები, ფიგურა „მებრძოლი“ და კომპოზიცია — „გერმანელების განადგურება კავკასიის მთებში“.

ამჟამად აბაშაში მთავრდება ჩემ მიერ შესრულებული მონუმენტის, დიდი სტალინის ქანდაკების დადგმა, მონუმენტის მთლიანი სიმაღლე კვარცხლბეკიდან უდრის 10 მეტრს. ვცდილობ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავისათვის მოვათავო ალექსანდრე წულუკიძის ქანდაკება და საქართველოს სახალხო პოეტის გალაქტიონ ტაბიძის ბიუსტი.

პროფესორი **ნიკოლოზ კანდელაკი** ამბობს:

— მოსკოვის საკავშირო გამოფენისათვის დამზადებული მაქვს ორი ბიუსტი. ერთია — შალვა დადიანის ბიუსტი, რომელიც ქვაშია გამოკვეთილი. ამ ბიუსტის სიმაღლეა 1,5 მეტრი; მეორეა — სამედიცინო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტის, გამოჩენილი ქართველი ქირურგის, სოციალისტური შრომის გმირის იუსტინე ჯანელიძის ბიუსტი. ეს ბიუსტი გაკეთებულია ნატურიდან ქირურგის თბილისში ყოფნის დროს ექიმთა ყრილობაზე. ბიუსტი ნატურაზე ცოტა მეტია, შესრულებულია პლასტიურად. დიდი მეცნიერის შინაგანი ბუნება ამეტყველებულია გარეგნულ პლასტიურ ფორმებში.

საკავშირო გამოფენაზე, — ამბობს სახალხო მოქანდაკე, პროფესორი **იაკობ ნიკოლაძე**,—წარდგენილ იქნება სტალინგრადის ეპოპეის გმირის ნიკოლოზ ტარიელის-ძე თავართქილაძის და გენერალ-პოლკოვნიკის კონსტანტინე ლესელიძის ჩემს მიერ შესრულებული ბიუსტები. ეს პორტრეტი-ბიუსტები შესრულებულია ნახევარი ტანის სიდიდით; ისინი მოსკოვის საგამოფენო კომისიამ მოიწონა.

გამოფენაში ვმონაწილეობ აგრეთვე საბჭოთა მხატვრების კავშირის ორგკომიტეტის თავმჯდომარის, ორგზის სტალინური პრემიის ლაურეატის ა. ე. გერასიმოვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრის ნ. პ. სევეროვის და მე-12 საუკუნის ცნობილ მწერლის — ჩახრუხაძის პორტრეტ ბიუსტებით.

გენერალ-პოლკოვნიკის ლესელიძის და საბჭოთა კავშირის გმირის თავართქილაძის ბიუსტებში ვცდილობდი გამომეკვეთა ლენინ-სტალინის პარტიის მიერ აღზრდილ, დიდი მასშტაბის ოპერაციების ხელმძღვანელთა სახეები, ვცდილობდი გამომეხატა ადამიანები, რომლებსაც ახასიათებთ გაბედულება, უშიშროება. მტკიცე ნებისყოფა, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული და თავდადება.

ჩახრუხაძის ბიუსტში მინდოდა აღმედგინა მე-12 საუკუნის მეხოტბე პოეტის სახე, და შევქმენი იმ დროინდელი ქართველი პოეტის ტიპი.

მხატვარმა **ლადო გუდიაშვილმა** განაცხადა: საკავშირო ხელოვნების საქმეთა კომიტეტის დაკვეთით გამოფენისათვის დავამზადე სურათი „პუშკინი თბილისში“. ამ სურათის მთავარი იდეაა ვაჩვენო პუშკინი, როგორც სტუმარი საქართველოსი.

ჩემს სურათში ასახულია ის მომენტი, როდესაც პუშკინი ძველი თბილისის ერთ უბანში ეცნობა ოქროჭედლების ოსტატობას, ხელობას. სურათში მაშინდელი ეპოქის დამახასიათებელი ანტურაჟი ავსახე. სურათში ვცადე პუშკინის პოეტური სული გადმომეცა. ქალაქის არქიტექტურაში შეძლებისდაგვარად შენარჩუნებულია იმ დროის სტილი.

მეორე ჩემი სურათია — თამარ ციციშვილის პორტრეტი. ამ პორტრეტის შექმნის დროს გავითვალისწინე ქართული მხატვრობის ძველი ტრადიციები, რომლებიც შემორჩახეს ფრესკებმა, მინიატურებმა და კედლის მხატვრობის ნიმუშებმა.

ჩემი მესამე საგამოფენო სურათი აბესალომის და ეთერის ლეგენდის მიხედვით შექმნილი კომპოზიციაა პეიზაჟის ფონზე, რომელშიც პეიზაჟი დაკავშირებულია ამ ორ ფიგურასთან—აბესალომთან და ეთერთან.

თამარ აბაკელია ამბობს: საკავშირო გამოფენისთვის დამზადებული მაქვს ქანდაკება „შერს ვიძიებ“. ამ ქანდაკებაზე ორი წელი ვიმუშავე. მიზნად ვისახავდი გამომეკვეთა შეუდრეკელი, უშიშარი და მტრის წინაშე შეუპოვარი ქალის სახე. სახე შურისძიების გრძნობით ანთებული ადამიანისა. მას ხელში უკავია მტრისაგან წამებით მოკლული ბავშვის გვამი, მტერმა ის თავისი სისასტიკით ვერ გასტეხა, იგი ამაყად სდგას და შურისძიებისაკენ მოუწოდებს ხალხს. ქანდაკებაში მინდოდა გამომეხატა ტანჯვა და განსაცდელი, რომელიც გადაიტანა საბჭოთა ქალმა, საბჭოთა დედამ მტრის მიერ დროებით დაკავებულ რაიონებში. ჩემის აზრით ეს ქანდაკება გამოდგება მონუმენტად ზოგიერთ ქალაქების ქუჩებში, განსაკუთრებით ქერჩისა და სტალინგრადის ქუჩებისათვის, მაგრამ ეს ჩემი საქმე არ არის.

გამოფენისათვის დამზადებული მაქვს ნახატების მთელი სერია (5 ნახატი). ამ სერიაში ასახულია გიორგი საკაძის და მის თანამედროვეთა სახეები. ბუთიევი სურათი შესრულებულია ფერებში. ამას გარდა გამოფენაზე იგზავნება ჩემი ორი სურათი „ჩვენი დღეების“ სერიიდან. ამ სურათებში აღებულია ორი კომპოზიცია, ერთი მათგანია „მალე დაბრუნდება“: ყანიდან დაბრუნებული ქალი კითხულობს გაზეთში თავისი გმირი ქმრის ამბავს, მეორე სურათია — „სიმღერა გმირზე“: გმირის გარშემო თავმოყრილნი ახალგაზრდა გოგონები გიტარას უკრავენ და გმირს უმღერიან.

მხატვარმა **კოტე კიკნაძემ** სთქვა: საკავშირო გამოფენაზე ჩემი სამი სურათია წარმოდგენილი. პირველი — „ჩაის პლანტაცია“, რომელშიც ასახულია ორი მეგობარი ქალის შეხვედრა შრომის პროცესში. ამოცანათ მქონდა დასახული მეჩვენებია, რომ შრომა თანამედროვე ქართველ ქალისათვის სასახელო, სახალისო და საამაყო საქმეა. სურათში ავსახე ქართველი ქალის მაღალი პატრიოტული შეგნება. ქალების სახეზე აღბეჭდილია სიამაყე იმ შეგნებით გამოწვეული, რომ ისინი შრომით ეხმარებიან თავიანთ საყვარელ სამშობლოს და სჭედენ მტერზე გამარჯვებას. ტიპაჟის გადაწყვეტაში ვცდილობდი შემექმნა ქართველი გოგონების ნამდვილი ტიპი. მეორე სურათი თანამედროვე თბილისის თემაზე დამუშავებულია ქართულ ტონებში. ამავე ხერხით მაქვს დამუშავებული „სადილის მიტანა საკოლმეურნეო მინდორში“.

მხატვარმა **კოტე ხუციშვილმა** განაცხადა: საკავშირო გამოფენისათვის დამზადებული მაქვს სამი ნატურმორტი. ამ ნატურმორტებში უმთავრესად ქართული მოტივებია გადმოცემული. საქართველოს გარეული ფრინველის —ხოხობის და კურდღლის ნატურმორტი ასახულია რეალისტურ ფერებში. მეორე ნატურმორტი—„ქართულ ხილში“ — მინდოდა მეჩვენებია საქართველოს ბუნების სიუხვე.

მხატვარი **სევერიან მაისაშვილი** ამბობს: გამოფენაში ვმონაწილეობ ერთი სურათით — „თბილისის დაცვა“, სურათი ისტორიული შინაარსისაა, იგი ასახავს აღა-მაჰმად ხანის შემოსევას და თბილისის თავდაცვით ბრძოლას. ჩემი მიზანი იყო შემექმნა პატრიოტულ-ისტორიული სურათი. სცენა გაშლილია მეტეხის ირგვლივ, მოედანსა და მეტეხს შორის, ასახულია ხელჩართული ბრძოლა.

ეს სურათი საგამოფენო კომიტეტის დაკვეთით არის შესრულებული.

ჯონ ბ. პრისტლი კახეთში

ტუხი ცა თავზე დასწოლია დედამიწას. ეფინდლიდან. ჯანღი ფერდობზე მოობიბავს და ბატყლის ფთილებივით ეკიდება ძეძვის გაჩიჩხულ ტოტებს. მანქანები ლუბინის ხევს გასცდნენ.

— ეგეც მზიური სამხრეთი, ლონდონის ცასა ჰგავს,—და პრისტლი თითქოს ამინდს ებუტებაო, მსხვილ ხორციან ტუჩებს ჰკუმავს, მერე რაღაც ინგლისურ ხალხურ მოტივზე უსტვენს და სიმღერის ტაქტზე თავს გარდმოგარდიღებს, თან ფეხებს უტაპუნებს მანქანის ძირს ფსკერზე.

— მიდამოები კი ტეხასის შტატს მოაგონებენ კაცს—გასცქერის იგი სამგორის ზეგანს.

ჯერ არ ვესიტყვები სტუმარს: რა ვქნა ვერც ამინდს შევცვლი და ვერც ამ თითქოს უდაბნოს სუნთქვით გადატრუსულ ველს.

მერე ეუბამბის სტუმარს ხალხურ თქმულებას სამგორის სამი ბორცვის წარმოშობის შესახებ—ერთი ახალგაზრდა მწყემსი ქალი ორ ჰაბუკს რომ უყვარდა და სამივენი მიწის ბორცვებად რომ გარდექცნენ ქალის ვერაგობის გამო. ამასობაში ამინდიც იცვლება და ლონდშიფტიც. მზის სხივებმა ჯანღის ფერდა გაჰკვეთეს. ცის ერთი მხარე ლურჯად მოისარკა. უკვე სართიჭალას გავცდით. ივრის ხეობაში შევდივართ. ერთმანეთს გადაება ვენახები, ხილის ბაღებში ჩაფლული სოფლები —პატარძეული, ნინოწმინდა. მთიდან ჩამორეკილი ფარების მცველი ბოღვერები ხმა დაბეჭერილი ყეფით მიგვაცილებენ. ჩუმლაყის ხევი გადავიარეთ. ჩალუბანს გავცდით

ჩვენს წინ იშლება თვალწარმტაცი. ალაზნის ველი. ათასფერად ამრეკლებულ ველის გარშემო თითქოს დავლურს უვლიან ცაში ატყორცნილი მთები, ჩვენს წინ აიმართა კავკასიონის ქედი, მთა მთას მობმული, მთა მთას გადაწყნული და გადაგრეხილი. მწვერვალები ოდნავ შეფთქილია ახლად მოსული თოვლით.

ალაზნის ჭალა და გომბორის დამწვარი ზურგი წუთისწუთ ბცცლის ხოლმე ფერს მზის ყოველ მობრუნებაზე. გომბორი ლურჯად ღუნს. ჭალა ახლად პირდაბინილ ბავშვივით ღიმობა, ალაგ-ალაგ ნისლის ნაფლეთები შერჩენია ტყის ქოჩორს.

ეთმანეთს გადაება შიდა-კახეთის ბარაქიანი სოფლები—ვენახოვანნი, ხილოვანნი და ლეკოვანნი: მელიანი, ბაკურციხე, ვეჯინი, კალაური, გურჯაანი. ჭრიალით შემოდიან სოფელში ყურძნით დატვირთული ურმები. ეზოებში მოხუცი დედაკაცები ვაშლსა და ატამს თლიან. პაწია გოგო-ბიჭები ჩორგ-ასხმულ ჩხებს დაარბენინებენ ეზო-ეზო. სათაც გაიხედავთ თონეში ალი ბრიალებს: ჩირსა და ჩამიჩს ახმობენ. ქარვისფერ ლოლუებივით ჰკიდია ორსართულიანი სახლების აივნებზე ახლად ამოვლებული ჩურჩხელები. ყვითლად ღუნან კრამიტის სახურავებზე დაყრილი გოგრები, ვახეთის მსუყე შემოდგომა მთელი მკერდით სუნთქავს. რაინის ხელმძღვანელი მუშაკები შემოხვდნენ უცხოელ სტუმრებს. მათი თანხლებით მივქრით წინ. ახლა პრისტლი ხშირხშირად სთხოვს შოფერს გაჩეროს მანქანა. ხან ალაზნის ველს კაჭყურებს, მაროსებერ რომ იშლება ჩვენს თვალწინ, ხან კედლეკილით ამართულ ლეკეთის მთებს.

— სადამდე მოაღწიეს გერმანელებმა?—ეს პირველი კითხვა, რომელიც დასცდა ამ წარმტაც ლანდშაფტით დატყვევებულ ინგლისელ მწერალს.

კოლმეურნეობაში დაბრუნებული ომგადახდილი მეომრები უამბობენ მწერალს კავკასიის დაცვისათვის გადახდილ ბრძოლის ეპიზოდებს. მთებს გადმოჰქონდაო მაშინ იმ ბრძოლების გუგუნი, კინონადის გრიალი. ძალზე ყრუდ, ალაზნის ველზეკი ეფინებოდაო, ხან ფანჯრის შუშებიც კი წკრიალებდნენო. მაგრამ ჩვენებმა მალე შეუბრუნეს ხელი მტერს და კავკასიონის მისადგომებიდან ბერლინამდის სდიეს, ვიდრე თაეის ბუნაგში არ გაიცამტვერესო.

პრისტლი ინტერესით უსმენს. იგი პირველი მსოფლიო ომის მონაწილეა, სამი ჭრილობა აქვს მიღებული დასავლეთის ფრონტზე. ამ ომის დროს კი მან, როგორც ლონდონის მცხოვრებმა, გამოვლო ინგლისის დედაქალაქის ბომბარდირების მძიმე წლები, რასაც ახლაც კოშმარსავით იგონებს.

ამ საუბრებში მუუუნის კოლმეურნეობის „გლეხთა გაერთიანების“ ზვარში ჩავდივართ. აქ პრისტლი ეკონომისტის და სტატისტიკოსის გულმოდგინებით სწავლობს კოლმეურნეობის სამეურნეო საქმიანობას. ეკითხება კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს მევენახეობის კულტურის ათასგვარ წვრილმანზე: რა სამუშაოები სწარმოებს ვენახში წელიწადის სხვადასხვა დროს, როგორ ებრძვიან ვენახის მავნებლებს —ფილოქსერას, წერნაკს, ვისგან ღებულობს კოლმეურნეობა შაბიამანს და გოგირდს, როგორ ნაწილდება მუშახელი მეურნეობაში, რა შემოსავალს ღებულობენ კოლმეურნეები მევენახეობიდან და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებიდან, საკარმიდამო ნაკვეთებიდან, როგორ ეწყობა შრომადღეებზე მიღებული პროდუქტების რეალიზაცია.

ზვარიდან კოლმეურნეობის კანტორაში მივდივართ. აქ პრისტლი ეცნობა კოლმეურნეობის საქმიანობის სხვა დარგებს — მემინდვრეობას, მესაქონლეობას. ვიდრე ჩვენ კანტორიდან გამოვიდოდით, ეზოში კოლმეურნეობის წევრები — მოხუცები და ახალგაზრდები შეგროვილიყვნენ. ახალგაზრდობა განცალკევებულიყო, სიმღერა და ცეკვა გაემართა; ახალგაზრდობის გართობამ გაიტაცა მწერალი, დაინტერესებულმა მათკენ გასწია, ერთხანს უცქირა, მერე თვითონაც ჩაერია თამაშში და ლეკურის საპასუხოდ ახალგაზრდულ ხალასით დაუარა შოტლანდური ცეკვა.

უცხოელი მწერალი მიიწვიეს კოლმეურნის ოჯახში, სადაც სახელდახელოდ გაიშალა სუფრა. ისევ ცეკვა და ისევ სიმღერები. გადავდით მუკუზნის საბჭოთა მეურნეობაში. სარდაფის დათვალიერების შემდეგ იმართება საღილი, რომელიც უადრესად გულთბილ ატმოსფეროში მიმდინარეობს.

აქედან სტუმრები წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში მიემგზავრებიან მეურნეობის სარდაფში ისინი ეცნობიან ყურძნის დაწურვის და ყურძნის გადამუშავების პროცესებს. მიმღებ პუნქტისკენ ჭრიალით მოედინებიან ყურძნით დატვირთული ურმები. იქაურობას ავსებს მუშების ხალისიანი შეძახილები. ზეიზედ იცქცნა ქარვისფერი რქაწითელთან და გიშერივით ჩაშავებული საფერავთან საკეკოდ. ყურთასმენის წამღებად გრიალებენ საჭყლეტი მანქანები. მსხვილ ღარებზე მიდგენება ტკბილში არეული“ დაჭყლეტილი მარცვალი, ყველგან ისმის ამ ტკბილი ნაკადულების ჩხრიალი, დახვეულ კიბეებზე იკლაკნება ბარძაყის სიმსხო რეზინის შლანგები, რომელშიდაც მიედინება ყურძნის დაჭყლეტილი მასა. რიტმიულად ტაატაკებენ საწნეხელის, სალაყავების სახელურები. ყველგან ყურძნის ტკბილი სუნი დგას. ვეება ათასფეთიანი ალაბარებში მაჭარი ჩუჩხუნებს, იტყვი ქვეშიდან ცოცხლი უნთია. ჭაჭაში არეული მუქ-წითელი საფერავს თეთრ ყვავილებივით მოსდებია თავზე ქაფის ბურთულები. ჩვენ ამ უცაბედ ყვავილებისაკენ ვიხრებით. დუღილის დროს გამოყოფილი ნახშირმჟავა ისე ძალუძდ გვხვდება სახეში, რომ ერთი წუთით ვიბნევიდებით.

მთავარი მეღვინე უხსნის უცხოელ სტუმრებს, თუ როგორ ხდება ყურძნის შაქრის ალკოჰოლში გადასვლა, უხსნის ღვინის ევროპული და ადგილობრივი დაზადების წესებს. სტუმრები ბავშვური ხალისით ადიან-ჩამოდიან კიბეებზე, რომელზედაც გადაკიდებულია რეზინის შლანგები. თითქოს ისინიც აიტანა ამ შეწყობილი მუშაობის რიტმმა. ღვინოების „ბიბლიოთეკაში“ ორმოცწლოვან მუშის „ტომებს“ ფურცლავენ. სტუმრები კითხულობენ თუ რა მსგავსებაა ქართულსა და ფრანგულ ჯიშის ღვინოებს შორის, რა ქვეყნებში ხდება აქაური ღვინოების ექსპორტი. მთავარი მეღვინე სტუმრებს უხსნის, რომ ქართული ღვინის ბევრი სახეობა მსოფლიოში სახელგანთქმულ ფრანგულ ღვინოებს ტოლს არ უგდებს და 1939 წელს ქართულმა ღვინომ საერთაშორისო გამოფენაზე ჯილდო მიიღო. პრისტლი ერთ წუთს შედგა და დაფიქრებულმა წარმოსთქვა.

— რა ბედნიერებაა, რომ გერმანელები აქ ვერ შემოვიდნენ.

უკანასკნელი წლების მანძილზე აგებულ სარდაფის სექციებში ვთვალიერებთ ათასჩაფიან კასრებს, სადაც ხდება სხვადასხვა ჯიშის ღვინოების დავარგება.

ორიგინალური ავეჯით,—კასრების სახედ გამოყვანილ-გამოთლილი მაგიდებით, სავარძლებით, კარადებით მორთული სარდაფის კანტორაში დირექტორი აცნობს სტუმრებს ბ ფდიდეს მიღწევებს, რომელიც მეურნეობამ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოიპოვა. პრისტლის ინტერესებს, თუ რა მიიღო მეურნეობამ საუფლისწულო უწყებიდან და რა წარმატებას მიაღწიეს მეურნეობის მუშაკებმა. დირექტორი უხსნის, რომ ამ ხნის მანძილზე მეურნეობის ვენახების ფართობი ერთი ოთხად გაიზარდა, რომ სარდაფის ტექნიკური ბაზა სრულიად განახლდა და ახლა სარდაფს შეუძლია ერთი ათად მეტი ყურძნის გადამუშავება, ვიდრე ძველად. პრისტლი ინტერესებულია მეურნეობის კოლექტივის მიღწევებით და იგი სწერს თავის შთაბეჭდილებებს მნახველთა წიგნში, უსურვებს მეურნეობის მუშაკებს კიდევ მეტ წარმატებებს.

შემდეგ სტუმრები ათვალიერებენ საბჭოთა მეურნეობის მუშების საცხოვრებელ ბინებს. აქედან ისინი სოფელ აკურის კოლმეურნეობის რთველში მიემგზავრებიან.

რთველის სურათმა სტუმრებზე განუზომელი შთაბეჭდილება მოახდინა. კოლმეურნეები, ქართული ჩვეულებისამებრ, სტუმრებს უჭრიდნენ ვეებერთელა ჩხებსა და აკიდოებს, აწვდიდნენ სუფრის ყურძნით სავსე კალათებს.

ისევ წინანდლის მეურნეობაში ვბრუნდებით, სადაც სტუმრების პატივსაცემად იმართება სადილი. კარგად მოულხინა სტუმრებს ძეურნეობის გუნდმა, საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა სტუმრებზე ქართულმა ცეკვამ და განსაკუთრებით ქართლ-კახურმა სიმღერებმა: კახურმა მრავალკამერიმ, რომლის ბანის ხვეულები სულ მაღლა მიიწევენ, თითქოს მეშვიდე ცისკენ მიმართებიანო, სიმღერებმა—„ჩაკრული“, „ზამთარიაო“, „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“. პრისტლი როიალზე ასრულებს ინგლისურ ხალხურ სიმღერებს. სტუმრებს ანცვიფრებს ქართული ხალხური მუსიკის რთული აღნაგობა და განსაკუთრებით მისი პოლიფონიურობა. პრისტლის მეუღლე გამოსთქვამს სინანულს, რომ მისი ბავშვები ვერ ისმენენ ამ მშვენიერ ხალხურ სიმღერებს. იგი ეკვსი შვილის დედაა, და ღიმილით ამბობს: კიდევ ერთიც რომ მყოლოდა, საბჭოთა კანონმდებლობით გმირი დედის ორდენი მზედებოდა წილადო.

მას გული სტკივა, რომ არ შეუძლია დაკმაყოფილოს სტუმართმოყვარე მასპინძლების თხოვნა—დარჩენენ მეტხანს ამ მშვენიერ კუთხეში და ამ მშვენიერად მოწყობილ მეურნეობაში, სადაც ასე საუცხოოდ იციან სტუმრის მიღება. მეურნეობის მუშაკები სთხოვენ სტუმრებს ეწვიონ სხვა დროს, როცა მეტის ხნით ჩამოვლენ საბჭოთა კავშირში. პრისტლის მეუღლე მადლობას უხდის მასპინძლებს და ღიმილით ეუბნება, რომ რახან ასე გულით ჰპატიჟებენ, ოღესმე იგი ყველა თავისი შვილით ესტუმრება მეურნეობას.

მასპინძლებიც ეუბნებიან—დიდად მოხარული ვიქნებით, თუ კვლავაც გვეწვევითო.

სტუმრები მასპინძლებს ღიდ მადლობას უხდიან ასეთი გულთბილი მიღებისათვის. მოვემართებით თბილისისაკენ გრმბორის გადასასვლელის გზით, რომელიც ასე თვალწარმტაცია შემოდგომაზე. ტყე წითელ-ყვითლად ღუნს, თითქოს ზამთრის ამ კვირა-ძალში მეორე გარდფურცლობა დასდგომიაო. მუხა და წიფელი ახლად ნაჭედი სპილენძისფრად ღუზღუზებენ, შედედებული სისხლისფერი ჩასდგომია თრიმლის ბუჩქნარებს, ტყეს თითქო არ ემეტება მიწაში ჩაიტანოს ის ბაჯაღლო, მთელი ზაფხული და შემოდგომა უხვად რომ აფრქვევდა თავზე ჰერეთის მზე.

5 ოქტომბერს პრისტლი მეუღლიანად ერევანს გაემგზავრა.

ალ. ჯეიშვილი

ვალერა აფხაიძე

ლიტერატურული შენიშვნები

ჩვენ თამამად შეგვეძლია მივუუყენოთ ტიუტჩევის ტრაგიკული აღმსარებლობა დ. გურამიშვილს, რომელმაც „ქვეყანა ივანულია ძის საპედისწერო წუთებში“. ერთია მხრივ, ირანის შაი და ოსმალეთის სულთანი. მეორეს მხრივ გადგომილი ფეოდალები თანაბარი დაუზოგველობით სწვდნენ და აოხრებდნენ ძმდრობიდელ საქართველოს. იმ ხანებში საქართველომ ერთხელ კიდევ სცადა გაწყვეტილი კულტურული ძაფის განსაკვეთ; ეს იყო ხანა დაგვიანებული ქართული აღორძინებისა, რომელსაც ერთნაირი სიმწავავით ახასიათებდა რელიგიური ასკეტიზმის ძლევის კვდა და სწრაფვა მეცნიერების სინათლისადმი. ამ წინააღმდეგობებით სავსე ეპოქის ღვიძლი შვილი იყო გურამიშვილი, რომლის პოეზიის ფოსფორიული სინათლე მრავალ საუკუნეს გადასწვდება.

ს. ჩიქოვანმა მთელი წიგნი დასწერა ძველი საქართველოს ამ უკანასკნელი „მოხეტიალე“ ტრუბადურის—დ. გურამიშვილის ცხოვრების თემაზე. პოეტმა ამ ლექსების დასრულებულ წრეს „სიმღერა“ უწოდა. აქ გურამიშვილის სევდა სიმღერითაა დაძლეული. ამ შემოქმედებითი სევდის ფერფლით არის მოფენილი ეს ხმაწყობილი „სიმღერა“, რომელიც ჩვენს წინაშე საყურადღებო საკითხს აყენებს: ეს არის ქართული პოეზიის განვითარების, მისი მეშვეიდრეობითობის საკითხი, შემოქმედებითი ძვრები, რომლებიც თანამედროვე პოეზიის წიალში ხდება.

ამ წიგნში ს. ჩიქოვანმა თავისი ლექსი თითქოს დ. გურამიშვილის ხმაზე და კილოზე ააწყო და ამის საშუალებით საკუთარი პოეტური მსოფლმხედველობა, საკმაოდ მდიდარი პოეტური სამყარო გაგვაცნო. „სიმღერა“ არის ქართული პოეზიის არსებითად ეროვნული ხაზის გაგრძელება, იმ სათავეების მიგნება, რომლებიდანაც დაწმენდილი ნაციონალური პოეზიის ზვირთები მომდინარეობენ. აქედან მომდინარეობს აგრეთვე პოეტური ლირიზმი, ეროვნულობაც პოეზია წარმოუდგენელია ისე, როგორც დღე—უსინათლოდ.

პოეტური სიტყვა შინაგანი გზებით ფილოსოფიურ ხილვას უახლოვდება; ამიტომ გასაგებია პოეტის მუდმივი სწრაფვა სინამდვილის არსის შეცნობისაკენ, გასაგებია მისი დაუღალავი ძიება ფიქრის სფეროში. ამით აიხსნება, უთუოდ, ის დამახასიათებელი მოვლენა, რომ ს. ჩიქოვანი ასე ხშირად მიმართავს ფიქრის — ინტელექტის კატეგორიას, რაც მის „სიმღერას“ მეტ სიღრმესა და სირთულეს აძლევს. ეს „სიმღერა“ იწვევს მკითხველის თანაშემოქმედებას, მისი ფანტაზიის გაცოცხლებას, რაც საშუალებას აძლევს მას დაინახოს პოეტის საგალობლებში თავისებური, ცოცხალი სამყარო.

ერთერთ საგალობელში, რომელსაც „მეორე აუგი“ ეწოდება, პოეტი გურამიშვილს ათქმევინებს:

„ისევ მზეა ჩემი მხსნელი
წარმართული, ბნელის მჭვლელი“.

მაგრამ წარმართული ბედნიერება როდი ბრწყინავს იმდენად მის მთრთოლვარე ლექსებში. მათი სილამაზის საიდუმლოება ისაა, რომ პოეტმა ფაქიზი ხელით, მორიდებით გადასწია ფარდა მე-18 საუკუნეს და საშეალება მოგვცა გვეხილა ღრუბლებიდან გამნაყოფთოალი, წვიმებთან ბრძოლებში დაქანცული მზის შუქი. ეს შუქი უფრო ქრისტიანული, ტრაგიკული, სევდიანი აღმოჩენილი, ვიდრე წარმართული, სიხალხარბი, სიცოცხლის სიხარულით გამსჭვალული. მართალია პოეტი „ზნიან კალოებს“ ეტრფის, მაგრამ ამ ლექსების დიდი მხატვრული დამაჯერებლობა და სიძართლე იმაშია, რომ მათში ჩვენ უფრო გარკვევით ვხედავთ „სისხლის კალოებს“, „სისხლით დატრიალებულ წუმელვილთა ბორცლებს“, ამ ბაკარ, დრამატიზმით სავსე სინამდვილეს, რომლის მომღერალიც დ. გურამიშვილი იყო.

„შეძოძახა ტანზე ჩრდილი,
ფესამოსიც გაცდა მზარალი,
თითქო ვიყო შესაწირი,
სული ჩემი კვამლში არი!“

არა წარმართულ ხილვამდე, არამედ ასკეტურ სიძაფრეებდე დაყვანილი სახეები სვარბობენ გურამიშვილის სიმღერაში. აქედან მოდის „ყელი, გალობით გამომშრალი“, გლოვით ამტუტებული მიწა, სული—ვარამის სანთელი“, „მომწყარი მდელო“, „ავდარობის ოქროპირი“.

ავტორი დ. გურამიშვილს ასე მიმართავს:

„ბავშვურ, დაიოკე ენი,
ჩრდილოეთის გზა ირჩიე, მწირო,
ხეტიალში ეგზე შეჭამნა წიგნი,
ვით ტაძარში შეხვიდე და სწირო“ —

მთელი ეს ციკლი პოეზიის წმინდა ტაძარში თქმული ლექსებით არის შეკრული.

დაფით გურამიშვილის შემოქმედებაში სჩანს ესახლარო ტკივილი, რომელსაც ვერ იტევს ტესტის ვერც მუსიკალური ყოერა, ვერც ფერების ალერსი და ვერც ანრის სიღრმე. ეს არის მის ლექსებს შორის დაღვრილი ჯერმელი სიახლი და ნაღვეი, ის დიდი სევდა, რომელიც ახრჩობდა სამშობლოსაკენ ნიწყვეტილ მე-18 საუკუნის პოეტსა და ადამიანს.

ჭეშმარიტი პოეტი ერთი ბედნიერებით არის დაჯილდოებული: მას შეუძლია მთელი თავისი ეროვნულობით მივიდეს საგანთან. ჰაილიგა უკანასკნელი, „სიმღერის“ მშვენიერი ლირსება ის არის, რომ პოეტი დიდი ინტერესით მიდის თავის წინამორბედთან ეს ინტერესი საუბარი დიდ ლანდთან „სიმღერაა“ დამახასიათებელია:

„პერანგი, ტანჯვით ნაგები,
მოპეცი. ჩქონდეს. თბილია,
ჩემი ოცნებაკ, ღამეში.
შენი გალობის ჩრდილია“.

აქ ლიტერატურული მემკვიდრეობის საკითხიც არის დასმული და პოეტური მოკრძალება, თავდაბლობაც. ამ ინტიმური საუბრის ერთ-ერთი მშვენიერი პასაჟია აგრეთვე შემდეგი სტროფები:

„შენ გაცივა, თუ მე ვანკალებ, სულერთია.
ოღონდ ვიკოთ მარად ტრფიალებით
მთვრალი.

შენს წისქილში მსურდა ღამე გამეთია,
ან მეპოვა შენი ცრემლით სავსე კვალი“.

ამგვარად „სიმღერის“ ყოველი ლექსი სიმბოლოს მნიშვნელობამდეა აყვანილი, ყოველი მათგანი გარკვეული სულიერი განწყობილებია მკაფიო ნიშანს წარმოადგენს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ პოეტს მიღწეული აქვს მიზანი, რომ ძს ნაპოვნი აქვს დ. გურამიშვილის „ცრემლით სავსე კვალი“ და, ეს ლექსებიც ისეს ადამატრებენ, რომ ავტორს ბედნიერი ღამე აქვს გათენული საოცნებო წისქილში—რამდენადაც ლექსების ინტონაციური ტკბილა მას დიდ სიმაღლემდე აქვს აყვანილი. ისიც აღსანიშნავია, რომ ს. ჩიქოვანის ლექსებში ზომიერად არის შემოტანილი ნამდვილი სურნელება გარდასული პოეზიისა. ეს არის მშობლიური ველების სურნელება, რომელიც უცხოეთში გადასვლილ პოეტის ფიქრს ეალერსება. ის მხოლოდ ერთზე ოცნებობს:

„ოქნებ გავლილთ შიმოვიდეს მწყეტსი,
გომბორიდან ქარიშხალი მოპყეს“.

პატრიოტული ლირიკის საუკეთესო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს ლექსი „გუგულები“, რომელშიც ქართული კოლორი ღვივის. მინორული ხმით შესრულებულ ამ საგალობელში რამდენი სითბო და მშვენიერი სევდაა ჩატეული:

„გუგუს“ გალობით, გუგულებო,
ხომ არ ჰპოვეთ ლანდი დედის,
ქართლში მყოფი უგუნებოდ,
ჭგლოვიარე ვაეის ბედით? —
კაფე-თესე გამაგონეთ,
სიკოცხლის ხმა ჩემი მხარის“...

ანდა ეს ხალხური სიმბოლიკით შესრულებული ფრაგმენტი, რომელშიც სიტყვაც არ არის ნახსენები სამშობლოზე, მაგრამ მის ნიუანსებში უკანასკნელის ღრმა სუნთქვა ისმის:

„მეამება სამაია,
ივერიის ღვთისმშობელის ბაია,
შენი თვალი ლია სამარეა,
შენი კაბა პრელი ბიამაია“.

პოეტი გარკვევით ხედავს გარდასულ საუკუნეს, ორიენტაციას „მოწახწარე წვიმის ძეთი“ არის დაბორკილი, ეტყვიას მის „ნაწვიმარ ეარდს“, და ისევ წვიმას, რომელიც „ინლება, როგორც დედის ცვლა“. ხედავს თითონ პოეტს, რომელიც მარტოობის საშინელ ტკივილს გრძნობს, „აღფოფინებს ნაცარს“, მაგრამ „ლექსის გამგონე არავინ არ ყავს“. ცხოველ მხატვრულ სახეებში გადმოგვცემს ს. ჩიქოვანი ის საუკუნის ტრაგიკულ ბედს, კერძოდ, განწირულ საქართველოს, სადაც

„ტერი ქართლით ერეკება ნახირს,
ლტოლვილ ურემს მიუძღვება ქვრივი,
ჯალბის ნაცვლად ებჯინება მახვილს“.

ამ ერთ სტროფში მთელი სურათია მოცემული: პოეტი ღრმად განიცდის სამშობლოს ტრაგიკულ წარსულს და შესაფერი მხატვრული სიღრმითაც გადმოგვცემს ამ შეშფოთებას:

„ჟერი დაგვენგრა და წვიმაში შევრჩით
ყიფშას.
სამშობლოს ღროშა არ შრიალებს, დაბლა
დაეშვა“.

„დროშა დაშვებული საქართველო“, „ბავსიანი ცისკარი“ და მსგავსი ტრაგიკული სახეები, რომლებიც ხშირად ელვავენ „სიმღერაში“, უეჭველია მკითხველის სულიერი წონასწორობის დამრღვევ ძალად გადაიქცეოდა რომ პოეტში, არა მშრალი ტენდენციის სახით, არამედ სადღაც, სტრიქონებსა და სტრიქონებს შორის შეუძჩნევლად ჩართვით, ლექსებია მიღმა მოთავსებით. მოცემული არ იყოს სხვა გაწყობილება, დასაყრდენს მოძებნის ცდა.

ს. ჩიქოვანმა ლექსებში გადმოგვცა გურამიშვილის დიდი სევდა. გამოწეული მე-18 საუკუნის საქართველოს ძძიმე მდგომარეობით, მაგრამ იმავე დროს როგორც თანამედროვე საბჭოთა პოეტმა ბრწყინვალედ დახატა ქართველი ხალხის ხსნა იმ ძველი ტაგედიისაგან, ძველი ტრაგედიისაგან. ეს ხსნა საქართველოს დიდ რუს ხალხთან დაკავშირებამ, მასთან დამეგობრებამ მოუტანა. გურამიშვილი ამ მეგობრობის სიმბოლოა. ასეთია დედა-აზრი ს. ჩიქოვანის წიგნისა.

ისლამიზმის ოკეანეში მოქცეული საქართველო საუკუნეთა მანძილზე ძეგობარს, სულის ნათესავს ეძებდა—არა ალმოსავლეთში. არამედ დასავლეთში. მეგობრის ეს ძიება და ამაზე დამყარებული სულიერი შინაგანი თავისუფლების მოპოვება—ასეთია ს. ჩიქოვანის „სიმღერის“ მთავარი თემა. იგ დ. გურამიშვილის ბიოგრაფია საშუალებად არის გამოყენებული. ეს თანაც პირდაპირ, თქმით როდი მეთავდება. არამედ მოვლით, სიმბოლოების მნიშვნელობამდე აყვანილი პოეტური სახეებით.

ამ ლექსებშიც პოეტი ისევ ამ საგალობელი ხმით მღერის. აქაც უფრო ღაღადისი ისმის. ვიდრე მოწოდება ლექსებია უმრავლესობა გრძნობის გაუცივებელ ნიაღვარშია მოქცეული, და არა მარმარილოში; მათ მიერ გამოწვეული სულიერი განწყობილება თითქოს ეასრულოა და ყოველ საფეხურზე ახალი, მძაფრი.

მშრომელი რუსი ადამიანის — ქართველი პოეტის მეგობრის შესახებ ს. ჩიქოვანი სწერს:

„იგი გთბობდა ავდარში,
ის გგრილებდა ზამთარში.
უდაბნოში და ციხეში“.

აქ ისტორიულ ასპექტში მოცემულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, ჩრდილოეთის დიდი მეგობრის როლი ჩვენი ხალხის გადარჩენისა და აღორძინების საქმეში. მთელი ეს „სიმღერა“ ხალხთა მეგობრობის, ხალალი ზნეობრივი იდეალის შუქით არის გასათებული. ამიტომ არის იგი ასე ამლობელი ჩვენთვის. [illegible] ხმა, ვეიდავთ [illegible] ნასკვნელი [illegible] დაეშვრეტელ [illegible] სიმძაურავალე კეხიბლავს. გეიტაცებს. ლირიკული ღელვი განაგრძობს მასში დეღილს და. ეს არის, რომ სწვავს მკითხველის სულს, ყოველ ლექსში ღრმა ჰუმანური აზრი ცოცხლობს.

„ორივეს გერგოთ ეკალ“
და ყელზე გედგათ ეღელი.
მაგრამ კალთზე შეკარეთ
ძმობა მარადის ურყევი“.

ამ სტროფში მოცემულია ორი ხალხის ისტორიული სინამდვილე. ამამორავებელი ძალა ურყევი მეგობრობისა. „სიმღერაში“ ქართული კოლორიტიც იგრძნობა და ჩრდილოეთის ქარის ქროლვის სიძლიერეც

ეს „სიმღერა“ არ არია ეგოცენტრული, საკუთარი ხმით მოჯადოებული, ვიწრო განცდების თილ ნაჭუჭში მოქცეული. მასში ჰკრთის ღრმა პოეტურ მღელვარების ანარეკლი. შუქი გარდასული საქართველოსი რომლის გარემოცვაშიც პოეტი სულის ოალობით, მარტოობით იყო დაგიდებული.

„სიმღერის“ ფესვები გამძლეა, რამდენადაც ისინი ღრმად მიდიან ქართულ ნიადაგში. მაგ თანამიმდევრული ხორალური სახეები ქართული მუზების მწვერვალიდან მოდიან. პოეტის ხმა ხშირად „ჩურჩულამდე“ დადის, იმდენად წმინდა ლირიკულია იგი. მშვიდობიანი ეპიური ხილვის ნაცვლად აქ არის მოუსვენარი, ეროვნულობური ძიება თითქოს მიეფეგეწყვეტული, სადღაც ცნობიერების მიღმა, მეხსიერებაში ჩარჩენილი პარმონიული სამყარისკენ. თითქოს ოდესღაც ნახულ ამ შორეულ ბურუსში იღვიძებენ პოეტური სახეები, ნიაღვარივით მოდიან და თან მოაქვთ არა ამდენად პლატონური სინათლე, რამდენადაც ერთგვარი მუსიკალური სითბო ბეერია ისეთი ლექსი, რომელიც ბრწყინავა, მაგრამ არ გათბობს; მოგწონს, მაგრამ არ გიყვარს, გიღიმის და არ გახარებს; უნდა შეგეხოს და არ გაკრთობს, სადღაც ზერელე, სწრაფ წარმავალ განწყობილებათა ნაკადებში იკარგება იგი. ს. ჩიქოვანის „სიმღერა“ სხვა კატეგორიისაა. იგი აღსარებას უახლოვდება, როგორც აკაკის „განთიადი“. ამდენად იგი გულწრფელია. ამიტომ—მწველი, გულთან ბზის ადვილად. მიმავალია, ვინაიდან გულწრფელობის გარეშე ჭეშმარიტი პოეზია ვერ იარსებებს. განა ცოტა მოიძებნება ლექსი ჩვენს სინამდვილეში, რომელშიც ადეური სამყალეც არის, რითმაც ბრჭყვიალაა, რიტმიც დაცულია, მაგრამ არ გვაღელვებს. გულში ხანძარს არ აჩენს! იმიტომ, რომ გრძნობის სიმხურვალე აკლიათ. იმიტომ, რომ მიგ არ სჩანს პოეტური მსხვერპლგალება. შემოქმედებითი გულწრფელობა, შეშფოთებული აულის აღსარება, დაუსრულებელი წუხვილი პოეზიის ახალ ნაპირებთან მიაგლისა. ამ. მელთა ალმორნაკა სასწაულს ედრის. ეს წუხვილი იგრძნობა ს ჩიქოვანის „სიმღერაში“ და იგი აძლევს მას გამძლეობას.

„სიმღერაა“ ტექნიკური შესრულება პოეტური აზრის სიმაღლეზე დგას ალსანიშნავია რიტმიული ცვალებადობა. ლექსებია, მათი მრავალფეროვნება. ორკესტრალური აღნაგობა, ზომათა ცვალებადობა. „სიმღერა“ ერთ წრეშია მოქცეული. იგი წარმოადგენს ერთი თემის გარშემო აგებულ ფუგას. ამდენად მისი ხმები სხვადასხვა ნოტებზეა შესრულებული. ს. ჩიქოვანი მიმართავს ნაირნაირ ზომას, რომელშიც მწყობრად და მოხდენილად ამლება ბისი პოეტური მონაფიქრი. რით გვიხიბლავს აკაკის „აღმართ-ალმართ ძიდიოდი“? მასში არის ფორმასთან აზრის სრული შერწყმა. აქ ფორმა პოეტის იდეიდან გამოდის, როგორც ქაფი ზღვის ტალღისაგან. მოცემული პოეტური განწყობილების გადმოცემა თითქოს წარმოუდგენელია ერის. ამ მოდუნებული, შემელებული სვლის გარეშე, რასაც ამ ლექსში თერთმეტმარცვლოვანი სტრიქონის რიტმი ქმნის. ასეთია ს. ჩიქოვანის ლექსების უმრავლესობაც მოცემულ ციკლში. იგი რიტმიულ მდიდარ ვარიაციებს აყენებს და გარკვეული პოეტური სახეა გადმოსაცემად სრულიად თავისებურ რიტმიულ დენას მიმართავს. შაირულ ფორმას ხშირად აცვლის მინორული, ძალიმ განწყობილების შემქმნელი ზომა, რაც სინამდვილეა ტრაგიკულად აღქმის გადმოსაცემად არის საჭირო. ასეთია, თუნდაც, თორმეტმარცვლოვანი ლექსები თავისებური ცეზურებით:

„ხეტიალში ეუბეჭი თმა ბაბუნე,
გალობაში სუფთათ შეახვეე წყლული.
დამლოცველმა ალმ-ი ქართლში დაბრუნე
ნაწვიმარი ვარდი, სტრიქონებში რგული“.

ეს არის ფორმა! ბედნიერი დამთხვევა აზრთან. რაკა ფლობია ფიგურალური გამოქმედი. ფორმა ისეთს ერთიერთობაშია აზრთან, როგორც სიმბურვალე ცეცხლთან.

შემთხვევითი არ არის, როგორც ზემოთ ვთქვით, ის გარემოება, რომ ს. ჩიქოვანმა დ. გურამიშვილს მიმართა. დ. გურამიშვილი რეალიზმის ფუძემდებელია ჩვენს პოეზიაში. ამ მხრივაც ს. ჩიქოვანი გურამიშვილთან გრძნობს სულიერ სიახლოვეს

ს. ჩიქოვანის „სიმღერა“ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. იგი სახავს იმ გზას, რომლითაც შესაძლებელია ჩვენი პოეზია წავიდეს. „სიმღერის“ რეალიზმი არ არის იმ თვისების, რომელიც ჩვენს კლასიკურ ლიტერატურას ახასიათებს. არც შეიძლება იყოს, რამდენადაც პოეტს გავლილი აქვს კარკვეული ლიტერატურული სკოლები. შეთვისებული აქვს ლექსის ტექნიკურად აგების გარკვეული ხერხები. ბუნებრივია, რომ მას ლექსში ვერ შეხვდებით გამარტივებულ პოეტურ ანბებს. მიკი ძეტაფორა ჭაფრია, ეპითეტი ორული. ცოცხალი და ამასთან რთული. მათში ღვივის ყვავილ დაძლეულ პოეტურ განწყობილებათა. ერთი სიტყვით, სხვაა მხატვრული სამოაელი, სხვაა ტექნიკური

ვალვა კვასხვაძე

ორმოცდაათიანი წლების ერთი სალონი

ქართული სახვითი ხელოვნების გავრცელების არე შორეულ წარსულიდანვე სცილდებოდა ამიერ-კავკასიის ფარგლებს. მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ ქართველ მხატვართა მოღვაწეობა ისეთ ქვეყნებში, როგორიც იყო საბერძნეთი, რომი, რუსეთი, ირანი და სხვა. მეორეს მხრივ არც საქართველო იყო კარჩაკეტილი უცხოელი მხატვრებისათვის.

ქართული ხელოვნების გზა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა შეთვისებისა და შესწავლის საფუძველზე წარმოქნილი გზა იყო; ქართული ეროვნული სახვითი ხელოვნება სწორედ ასე საერთაშორისო გარემოში მუშავდებოდა. ამით უნდა აიხსნას ისეთი ძოვლენები, როგორიც იყვნენ წარსულში სიაუშ გურჯი და ჯაბადარი.

საყურადღებოა, რომ საქართველო ყოველთვის მდგარა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხალხთა ყურადღების ცენტრში. საქართველოში იმყოფებოდნენ და ქართული ცხოვრების თემატიკაზე მუშაობდნენ რუსი, იტალიელი, ფრანგი და სხვა ერის მხატვრები. რუსი მხატვრებიდან საქართველოს თემა ასახეს ძმებმა ჩერნეცოვებმა, გაგარინმა, ორლოვსკიმ, ფილიპოვმა, ბაიკოვმა, აკადემიკოსმა ჟუკოვსკიმ, რუბომ, სამოკიშმა, ჩელიშევმა, რეპინმა, ვრუბელმა და სხვამ.

უცხოელთაგან აღსანიშნავია კასტელი, კორრადინი, ნორდინი, ფრანკენები და სხვ.

წინამდებარე წერილში ჩვენი მიზანია გავაცნოთ მკითხველს ერთი დღემდე უცნობი სალონის გამოსახულება.

1936 წელს ხელოვნების მუზეუმის „მეტეხის“ ფონდთა კატალოგიზირებისას ჩვენი ყურადღება ხსენებულ ფონდში დაცულმა ერთმა ექსპონატმა მიიქცია. იგი შესრულებულია ქაღალდზე აკვარელით, საკმაოდ გაწაფულისა და დაოსტატებულის მხატვრის ხელით. მინაწერი სურათისა გვამცნობს, რომ მასზე გამოსახულია ქალაქ თბილისის ერთი სალონთაგანი. მეპატრონის ვინაობა აღნიშნულია სამწუხაროდ მხოლოდ გვარის ინიციალით, ლათინური ასო— B-თი.

სურათზე ქვემოდ მარჯვნივ მოთავსებულია მხატვრის ხელმოწერა P. Blonschard და თარიღი: Tifflis. 1857.

ხსენებული სურათი პირველ რიგში შესრულების მხრივ იქცევდა ყურადღებას. მსუბუქი, გამჭვირვალე და გაწაფული ხელით გაკეთებული მონასმი, ქსოვილის ფაქტურის საოცრად დამაჯერებელი და არტისტული გადმოცემა, ვიტრაჟის მასალის გრძნობა, ფურცელზე ფიგურათა კომპოზიციის ფაზრებული და დამახასიათებელი მოთავსება, ტიპაჟის ფიზიონომიისა თუ ჩაცმულობის თავისებურება, ფერწერითი სიწმინდე და მეღერობა— მიუთითებდა ოსტატობის მაღალ ხარისხზე და ამოხსნას მოითხოვდა, ხოლო მხატვრის ხელმოწერა და მისივე ხელით მინაწერი ცნობა სალონის სადაურობისა და პატრონის ვინაობის შესახებ სურათს საინტერესოს და მნიშვნელოვანს ხდიდნენ ქართული კულტურის ისტორიისათვისაც.

ამრიგად, ეს სურათი იძლევა მე-19 საუკუნის პირველ ნახევრის ბოლო წლების თბილისში მცხოვრებ მაღალწოდების ოჯახთა ინტერიერის აღდგენის შესაძლებლობას. იგი შეიძლება თავისუფლად იყოს გამოყენებული თეატრალურ და კინო დადგმებისათვის, როცა იმ დროის მაღალი წრის ყოფის ასახვას განიზრახავენ. იგი შეუძლიათ გამოიყენონ მხატვრებმაც.

დარბაზთა ევროპული მოწყობა-მორთვა, როგორც ცხობილია, ქართველ მაღალ წრეებში დაიწყო რუსეთთან შეერთების შემდგომ. მაგრამ მან აპოგეას საუკუნის მეორე ნახევარში მიაღწია. ეს დარბაზები თავისებური სალონები იყო. საქართველოში ჩამოსული რუსი და უცხოელი მხატვრები ისევე, როგორც პოეტები, ამ სალონებში ხვდებოდნენ და ეცნობოდნენ ქართველებს. დღეს დადასტურებულია, რომ ამგვარ წრეებში ტრიალებდა პირველი ქართველი აკადემია-დამთავრებული მხატვარი გ. ი. მაისურაძე, გარსევან ჭავჭავაძის ოჯახში აღზრდილი; ასევე ნამდვილად დასტურდება მაისურაძისა და დიუმას შეხვედრაც.

ამგვარად სალონი, რომლის სურათსაც ჩვენ აქ ვაქვეყნებთ, საქართველოში არსებულ სალონთა ერთ-ერთი ნიმუშია. იბადება საკითხი: ვისი სალონი უნდა იყოს გამოსახული სურათზე? ჯერჯერობით ჩვენ კატეგორიულ მტკიცებისაგან თავს ვიკავებთ, უდაოა, რომ ეს თბილისში ა[illegible]ული სალონების გამოსახულებაა, აგევე უდავოა, რომ იგი ორმოციან-ორმოცდაათიან წლებში შემუშავებული სალონის სტილს გამოხატავს. სალონის მეპატრონის ვინაობა, რომელიც, ინიციალის ქვეშ იმალება, სხვადასხვა ბეჭარ პასუხის შესაძლებლობას ჰბადებს. აქ შეიძლება ვიგულისხმოთ ბარათაშვილი, ბებუთაშვილი, ბაგრატიონი და სხვა; მაგრამ ბაგრატიონთა შესაძლებლობა ამდროისათვის თავისთავად გამორიცხულია[1]).

ვის ეკუთვნის ეს სალონი—ჯერჯერობით გადაჭრით ამის თქმა შეუძლებელია.

ასეათუ ისე, ეს მავრიტანული სტილის ინტერიერი უდავოდ საინტერესო მონაპოვარია, როგორც ჩვენი ქვეყნის მხატვრული ასახვის თვალსაზრისით, ასევე კულტურული ურთიერთობის დადგენის თვალსაზრისითაც.

[1]) შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეს სალონი არის ა. ი. ბარიატინსკისა (1814–1879). იგი კავკასიაში პირველად ჩამოვიდა 1835 წ. 1856 წლის 26 აგვისტოს დაინიშნა კავკასიის მმართველად და განთავისუფლებულ იქნა 1862 წლს მისი პირადი თხოვნის თანახმად. მაგრამ ბლონშარის სურათი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს ბარიატინსკის სალონის გამოსახულება შემდეგ მოსაზრებათა გამო: ძხატვრის მემკვიდრეობის მიხედვით აშკარაა, რომ მას ყველა მის მიერ ნახულ ქვეყნებში ინტერესებდა მკვიდრთა ცხოვრება და ყოფა; ინტერიერის მორთულობა ბარიატინსკის სალონისათვის ღარიბია; დისახლისიც ქართულ სამოსშია ჩაცმული. სურათზე რომ ბარიატინსკის სალონი იყოს გამოსახული, მაშინ მხატვარი იქ, სადაც მინაწერი გააკეთა სალონის მეპატრონის ვინაობის შესახებ, ინიციალის წინ დასვამდა ბარიატინსკის ტიტულსაც.

ორმოცდაათიანი წლების სალონი. სურათი პ. ბლონშარისა.

 დავით შამათავა

ბარათაშვილი და საბჭოთა პოეზები

მთელი საუკუნე გვაშორებს ნ. ბარათაშვილს, მაგრამ უკვდავი პოეტის ხმა ჩვენს დიდ ეპოქაში ახალი ძალით ისმის. პოეტის გენიალურმა შემოქმედებამ დიდი ხანია საპატიო ადგილი დაიჭირა ჩვენი კლასიკური მემკვიდრეობის ძვირფას საგანძურში.

ქართული საბჭოთა პოეზია ღირსეული მემკვიდრეა მდიდარი ტრადიციის მქონე ქართული ლიტერატურისა. მწერლის მოქალაქეობრივი როლის მაღალი შეგნება, პატრიოტიზმის უწმინდესი გრძნობანი, სოციალური პრობლემებით დაინტერესება, ზოგადი საკაცობრიო იდეები,—ეს იყო ლერტმოტივი ბარათაშვილის პოეზიისა. ამიტომ არის, რომ ნ. ბარათაშვილის სახით ქართველი საბჭოთა პოეტები ხედავენ ღირსეულ წინაპარს და მრავალმხრივ გადმოგვცემენ პოეტის სახეს თავიანთ ლექსებში.

ქართველი საბჭოთა პოეტების საყვარელი თემაა—გენიალური ქართველი პოეტის ცხოვრება. პოეტი სიმონ ჩიქოვანი ერთ თავის წერილში შენიშნავდა: „არც ერთ ქართველ პოეტს არ მოუხდენია ისეთი დიდი გავლენა მე-19 და მე-20 საუკუნის ქართულ პოეზიაზე, როგორც ნ. ბარათაშვილს; „მერანის“ პოეტური გაქანება იტაცებდა და ხიბლავდა ყველა მომდევნო თაობის მოწინავე პოეტს. საბჭოთა პოეზიაზედაც უდიდესი გავლენა მოახდინა ბარათაშვილის სტრიქონებმა. საბჭოთა პოეტებიც უდიდესი სიყვარულით ღებულობენ მის დიად მემკვიდრეობას, რომელიც საუკუნეებში ხმაურობს „მერანის“ სიძლიერით“.

ქართველ პოეტთა უმრავლესობამ სცადა ლექსებში დაეხატა პოეტის სახე. ამ თემას გ. ლეონიძე მუდამ განსაკუთრებული სიყვარულით ეკიდებოდა. მისი ლექსი „განჯის ღამე“ ძლიერი პოეტური წარმოსახვის, წარსულის ცოცხლად ხილვის ბრწყინვალე მაგალითია. გ. ლეონიძემ დახატა სიკვდილთან შეჭიდებული პოეტი, გადმოგვცა მისი აგონია. ავტორი ხაზს უსვამს იმ დიდ პოეტურ საწყისებს, რომელიც პოეზიის ახალმა თაობამ მემკვიდრეობად მიიღო ბარათაშვილისაგან:

„დავიმბახეთ შენი ნათელი,
შენს დუმეკნობელ სახელს ვიდიკავთ:
განჯას დამწვარმა გულის ნამწვავმა
ქართლში კოკონად გამოიღვიძა“.

ლექსში „ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტს“ გ. ლეონიძემ გამოხატა ბარათაშვილის სამუდამო დამკვიდრება მშობლიურ მთაწმინდაზე:

„ვით ოქროს ფარჩა გადმოკიდული,
ბრწყინავდა შენი ქვეყნის ბუნება,
ჰხვდებოდნენ დიდი მთაწმინდელები
მთაწმინდის მთაზე შენს დაბრუნებას“.

სიმონ ჩიქოვანი ბარათაშვილის შემოქმედების საწყისებს ეძიებს ქართულ კლასიკურ მწერლობაში, კერძოთ გენიალურ „ვეფხის-ტყაოსანში“. ყოველივე ეს პოეტმა ნათლად გადმოგვცა ლექსში „ნიკოლოზ ბარათაშვილის სავანეში“.

„გადასულ დროდან შენ გეძახოდა
მულლანანზარის ველზე მხედარი,
ცისმა სამღერამ გული დაკარდა —
გული მშფოთვარე, გული ნეტარი.
მტკვარი მოგყვება მორნილ ლანდეთ,
გეხმაურება ქართლის ბუნება.
მულლანანზარზე სჩანს ავთანდილი
და შენს ფარსკვლავებს ესაუბრება“.

პოეტი მთელი გატაცებით და მგზნებარებით სწერს ბარათაშვილზე, რომელმაც არსად არ იგუა საფლავი სანამ თავის საყვარელ მთაწმინდას არ დაუბრუნდა. ეს დიდი სულის შფოთვა ნათელ გამოხატულებას ჰპოებს აღნიშნულ ლექსში:

„აწ მოისვენე მშობლის უბეში,
თავზე გადგია ბრძენის ნათელი.
როგორ ჩაჰტიე მაინც კუბოში
შენნი შფოთვა და კორიანტელი“.

პოემაში „მე და ბარათაშვილი“ ალიო მაშაშვილმა სცადა გამოეხატა სახე მე-19 ს. გენიალური პოეტისა.

ამ ნაწარმოებში პოეტმა დაუპირისპირა ერთმანეთს ძველი და ახალი, ინდუსტრიული საქართველო. პოეტი მზადაა ახაროს ბარათაშვილს დიდი აღორძინება სამშობლო ქვეყნისა:

„გიამბობ ქართლის ბედის ტრიალი
როგორ გადურჩა დროთა ურდულებს,
გიამბობ, მტკვარი ოდეს ტიალი
ახლა რას ფოსფოქვინს, რაა მოდუდუნებს“.

ჩვეულის ოსტატობით, ბრწყინვალე სტრიქონებით გაესაუბრა პოეტი ი. გრიშაშვილი ბარათაშვილის პოეტურ პიროვნებას. ამ მხრივ დამახასიათებელია ლექსები: „სურნელება ძველი ხელთნაწერისა“ (ნ. ბარათაშვილს) და „კიროვის ბაღში“. უკანასკნელ ლექსში ი. გრიშაშვილი ხატავს დღევანდელობის სიდიადეს და იმ გარემოში, სადაც ოდესღაც უყვარდა ბარათაშვილს გასეირნება, იგი ტკბილად ესიტყვება გენიალურ პოეტს:

„ბარათაშვილო! დღეს ამ ალაგს,
შენ რომ გიყვარდა ოცნებით ფრენა.
მზემ სუმბულები ამოალაგა
და ქარაფებმაც აიღვეს ენა.
ახსენი ბაგე!.. ყველას უთხარი,
რომ ეს მიდამო იქცა ბალებად.
რომ დაკაჩოქეთ ბედი მუხთალი
ავმართეთ სიტყვა ბარიალებად.
დაიცა მეთქი! შეეხეთ ყველს,
ქართულის ეშხით ქსოვილ ბუნებას,
ეუმღეროთ შარას, ლუქსად გაყვანილს
და გახეფხულს შემობრუნებას“.

პოეტი კონსტანტინე ჭიჭინაძე ლექსში „ნიკოლოზ ბარათაშვილი განჯაში“ ხატავს პოეტის ცხოვრების უკანასკნელ წელს. ამ ნაწარმოებში ასახულია მოსაწყენი პროვინციალური გარემო, რომელშიაც უკანასკნელ წლებში ყოფნა უხდებოდა ბარათაშვილს, აქვე გადმოცემულია ამბავი ბეგის პატარა ასულისა. უცხო ქალაქში ობლად შთენილი პოეტი ერთფეროვნად ატარებდა დღეებს, დილით ჩვეულებრივ სამსახურისკენ გასწევდა იგი. პოეტის ცხოვრების ამ ეპიზოდს ეხება კ. ჭიჭინაძის ლექსი:

„არც კი იყავი გარეთ გასული,
რომ დაგზვერავდა გიშრისფერ თვალით
ერთი პატარა ბეგის ასული—
შენი მეზობლის პატარა ქალი.
თვე არ გამორნდი, მოდამ გელოდა,
ჩადრიც გაკრიცა, როგორც საკერი.
შენ მოგდიოდა სამშობლოდან
შენ ქაღალდები ხელმოსაწერი“.

ასე უფერულად მიდიოდა პოეტის ცხოვრების უკანასკნელი წელი, მიდიოდა ავადმყოფობაში და მარტოობაში:

„მარტო იწექი. მაგიდის პირზე
ხელუხლებელი გედგა წამალი“.

ჩვენმა დიდმა ეპოქამ ახალი სიცოცხლით აღადგინა ბარათაშვილი, იგი უფრო ახლობელი, უფრო მშობლიური გახადა; ამაზე სწერს პოეტი ალექსანდრე ლო კალაძე თავის ლექსში:

„...ალადგა ნიკოლოზ ბარათაშვილიც
დასაჯილი სოფლის ამოებით,
და შემოხედა ამაყად მრავალ
ტარიელივით ბედდამა მტკიცარსაკენ...
მაგრამ დასწია ხელი ფეიერ
და მან პირველ[illegible]
მას უთვისტომოდ დარჩენა არ სურს,
და ბნელ ლამეებს გაკვეთს ელვისებრ!
ასი წლის შემდეგ შორდება წარსულს
და მთაწმინდაზე ამოდის ისევ“...

ნ. ბარათაშვილის დიდი საკაცობრიო სევდა აიღო თემად თავის ლექსისათვის პოეტმა დავით გაჩეჩილაძემ. იგი სწერს იმის შესახებ თუ როგორ მიაღწია პოეტის გენიამ უკვდავების მწვერვალებამდე. ის ამავე დროს პოეტის სიყვარულის უკვდავებასაც ეხება:

„და თუმცა დამდნარან თოკლად ნაკვთნი
მარმარისანი,
მე სიყვარულს უკვდავებით მაინც ვიცანი.
ო, არ გეგონოს ბურუსია ცისკენ აშლილი,—
ეს ხელაპყრობით შეგლალდებ ბარათაშვილი,
და რომ გაელავს ცა ცოფილი მიუსაფარი.
ეს შენ დამეძებ სიყვარულის წმინდა
ლაშქართან“..

ნ. ბარათაშვილის დიდი იმედი მოსავლის მიმართ, სიმბოლიურად გამოხატა პოეტმა ვიქტორ გაბესკირიამ ლექსში: „ბარათაშვილი მთაწმინდაზე“. პოეტი ბარათაშვილის თვალებში სიხარულის ცრემლს ხედავს:

„აი, სინათლე ვით მტრედის ფრთა შეეხო
ტატნობს.
ბზარავს სხივები ცის გუმბათს და მიდიდურ
მყინვარს
შეპყურებს ქვეყნად მზის მოსვლას და
თვალებში ტატოს
ცრემლი უბრწყინავს“.

სევდიან მგოსანს ბედისთვის ქედი არ მოუხრია. გასულან დრონი და მის საფლავს ყვავილებით ამკობენ ბედნიერი ქვეყნის შვილები.

აღწერდა რა განჯის მიდამოებს, სადაც თავდაპირველად დაკრძალული იყო ბარათაშვილის ნეშტი, პოეტი რევაზ მარგიანი სწერდა:

„ნეშტის მისახლიც ხომ დარჩენილ
აქ, ამ მიწაში იქნებ ერთოს,
ხომ ყველანი ხარ ამიერიდან
დამდებულო საიერიოდ“

თანამედროვე საბჭოთა პოეზია, როგორც მემკვიდრე მდიდარი ტრადიციის მქონე ქართული ლიტერატურისა, დიდათ აფასებს თავის ღირსშესანიშნავ წინაპრებს. განსაკუთრებით მრავალმხრივ დაიხატა ნ. ბარათაშვილის პოეტური სახე თანამედროვე პოეტთა შემოქმედებაში. აქვე უნდა დავასახელოთ აგრეთვე შესანიშნავი ლექსები ბარათაშვილზე: ალ. აბაშელის „ნიკოლოზ ბარათაშვილს“, ვ. გაფრინდაშვილის „ნ ბარათაშვილი“, ალ. ქუთათელის — „ბარათაშვილი და მისი სატრფო“, გრ. ცეცხლაძის — „ნ. ბარათაშვილის გადასვენება მთაწმინდაზე“, ლადო ასათიანის „ნ. ბარათაშვილისადმი“ და სხვა.

თავის სიტყვაში ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე, 25 აპრილს, 1893 წელს ილია ჭავჭავაძემ მოიყვანა რა პოეტის „მერანიდან“ სტრიქონები, დასძინა: „ეს გზა უკვალი—თვითეული ქართველის გულია. საცა მისმა მერანმა ღრმად ჩაჭდა მისი ანდერძი, მისი ნათქვამი“. ნ. ბარათაშვილის მხატვრული მემკვიდრეობა და მისი მოღვაწეობა ეროვნული პოეტური სახე მუდამ ღირსსახსოვარი იქნება და უთუოდ ახალ შესანიშნავ პოეტურ სტრიქონებს შთააგონებს ჩვენი დროის თვითეულ შემოქმედს.

გიორგი ნატროშვილი

„სიკვდილი ბარათაშვილისა“

მიმდინარე საუკუნის ოცდაათიან-წლებში მსოფლიო ლიტერატურაში ფართო გავრცელება ჰპოვა ლიტერატურის თითქის ახალმა ჟანრმა, რომელსაც ფრანგებმა „რომანი-ბიოგრაფია“ უწოდეს. ეს ისტორიული რომანის თავისებური სახეობაა. ამ ჟანრის მწერლობის თემად იქცა ცხოვრება წარსულის ამა თუ იმ შემომქმედისა, ცხოვრება ადამიანებისა, რომელთა მდიდარმა ფსიქოლოგიურმა ქვეყანამ, გარეგანი თუ შინაგანი ფაქტებით აღსავსე ბიოგრაფიამ ბუნებრივად მიიზიდა და წარიტაცა თანამედროვე მწერლის ყურადღება. ევროპაში გამოქვეყნდა აუარებელი რომანები წარსულის დროის დიდ შემომქმედთა შესახებ, დაიწერა წიგნები სერვანტესზე, სირანო-დე-ბერჟერაკზე, გოეტეზე, სტენდალზე და სხვ.

თანამედროვე რუსულ საბჭოთა ლიტერატურაში ამ ჟანრის მწერლობის ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო იური ტინიანოვი. მისი ისტორიული რომანები — „კუხლია“, „ვაზირ-მუხტარის სიკვდილი“ და „პუშკინი“ — ჩვენს თვალწინ აღადგენენ კუხელბეკერის, გრიბოედოვის, პუშკინის ცოცხლად დახატულ პორტრეტებს, ისინი იმავე დროს აღადგენენ ეპოქას. ი. ტინიანოვის წიგნებმა ამ ჟანრს საბჭოთა ლიტერატურაში უმტკიცესი საფუძველი ჩაუყარეს და მოქალაქეობრივი უფლებანი მოუპოვეს.

თანამედროვე ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ეს ჟანრი ძალზე ჩამორჩენილი და განუვითარებელია. ეს გარემოება, ცხადია, თემატიკური მასალის უქონლობით არ აიხსნება. სად შეიძლება მოიძებნოს უფრო მადლიანი მასალა ამ ჟანრის მწერლისათვის, ვიდრე თუნდაც სულხან-საბა ორბელიანის და დავით გურამიშვილის ცხოვრებაა? მათი უმდიდრესი სულიერი სამყარო, მათი ხიფათით და შფოთით სავსე ცხოვრება, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე იყო გაშლილი—ძალზე სახარბიელო თემაა „მარჯვე, მოსწრებული მოლაპარაკე, მელექსე, მოლეკური, ქაღალდის გატაცებით მოთაძაძე, ყველგან მომსწრები, ყველგან შინაური კაცი... მისთვის ყველგან გაღებული იყო კარები. ორბელიანების ოჯახში, ძეტადრე მანანა ორბელიანთან, ამ ჩვენებურ მადამ რეკამიესთან,... ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში, ბარათაანთში, ფალავანდიშვილებში, ერისთავიანთში, ციციშვილებში — ბარათაშვილი მუდმივი სტუმარი იყო, შემტანი ძოძრავის გუნებისა, მხიარულებისა. აქ თამაშობდა ის, ლხინობდა, ოხუნჯობდა, არწიყობდა“. (ი. მეუნარგია).

მაგრამ აბა გადაიკითხეთ ბარათაშვილის ლექსები, მისი ინტიმური წერილები და თქვენს წინაშე წარმოსდგება სულ სხვა ადამიანი, არა მომლხენი და მხიარული, არამედ „სულით ობოლი“ ყრმა გენიოსი, რომელსაც სუნთქვა ეხუთება გარემომცველ დუხჭირ სინამდვილეში. „...მენც იცი დიდი ხანია ობოლი ვარ — სწერს იგი მაიკო ორბელიანს — სიცოცხლე მომძულებია ამდენი მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი, და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელ სოფელში... სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოთ თავი?“ მის არც ერთ ოცნებას არ ჰხვდომია წილად აღსრულება; კარგად გადმოგვცემს მისი სულის ვითარებას ხსენებული მოთხრობის ავტორი, როცა სწერს: „...ამიტომ იყო, რომ ღრმად დაიმალა თავისი სულის მშვენიერება, გულის უმანკოება და ეს მიაჩნდა ბედნიერებად, უმაღლეს სიამედ, რომელსაც კაცი წაიღებს ამა სოფლითგან. სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა კი უყურებდა გულგრილად, ამაყად და სწამდა, რომ იგინი შეურჩენელი არიან.. მას, მიუსაფარს, ყველა სმენადახშულად მიაჩნდა. ყველას სული — სარკმელ-მიხურულად. და მან გადასწყვიტა: თანამემამულეებს სჩვენებოდა მხიარულად, თავის სულის გმინვა გაემხილა მხოლოდ **ლექსებში, რომელნიც მომავლისათვის იწერებოდნენ... მუდამ ფარდის იქით ცხოვრობდა“.**

მისი ნათელი სული, რომელიც ქვეყნის მომავალს შეჰხარის, უმაღლესი სულიერი კეთილშობილება ძთელი ბრწყინვალებით არის გადაშლილი მის ლექსებში. ამიტომ არის, რომ მისი ყოველი სტრიქონი ჰხიბლავს, იტაცებს ადამიანს თავისი დაუჭეხობი მშვენიერებით, ჰუმანიზმის და კაცთმოყვარეობის იდეებით, სამშობლოს მგზნებარე სიყვარულით.

მას, რომანტიკოს პოეტს არ შეეძლო შერიგებოდა თავისი დროის უფერულ და ღატაკ სინამდვილეს.

მოთხრობის ავტორის წინაშე მთავარ ამოცანად ბუნებრივად იკრებოდა ამ რთული სულიერი ვითარების, გარემოსთან ამ ტრაგიკული შეუთანხმებლობის გადმოცემა. ა. გაწერელიაც პირველ რიგში ამაზე ამახვილებს მკითხველის ყურადღებას. მოთხრობა იწყება კამერ-იუნკერი ბარონი ნიკოლაისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შეხვედრის აღწერით. ბარონი ნიკოლაი ავტორის ფანტაზიით შექმნილი სახე არ არის, მოთხრობაშიც ის დახატულია როგორც კონკრეტული ადამიანი, საკუთარი გენეალოგიით, ბიოგრაფიითა და ჩვევებით. მოთხრობის ფურცლებზე ჩვენ ცოცხლად ვხედავთ ოცდახუთი წლის, ქერა სახის, მოკლეშაკებიან ოფიცერს ოქროს ბეჭდით საჩვენებელ თითზე, — ეს თავქეიფა და ბედის მაძიებელი ფრანტია, მეფის ნაცვლის სვეტდიერი ადიუტანტი — ნაშიერი გადმოხვეწილი ფრანგი არისტოკრატისა. რჩეული წარმომადგენელი იმათ შორის, ვისაც ბარათაშვილი დაცინვით „ხახვის ფრანტებს“ ეძახოდა. იმავე დროს მოთხრობაში ის დახატულია როგორც განზოგადოებული სახე, როგორც სიმბოლო უშინაარსო, ფუქსავატი და უნაყოფო, სულიერად გამოფიტული თაობისა, იმ ხალხისა, რომელთა შორის ცხოვრება ბარათაშვილისათვის უმძიმესი ტრაგედია იყო. საუცხოვოა დიალოგი ამ ორ პიროვნებას შორის: მართლაც ბარათაშვილს მხოლოდ აი ასეთი გამანადგურებელი და იმავე დროს ნართაული ირონიით შეეძლო ესაუბრნა მარტო ნიკოლაისთან კი არა, არამედ მთელ მის თაობასთან. ამ დიალოგში ყოველი სიტყვა პოეტისა — ბრალდებაა, გატყორცნილი ისარია, რომელიც აუცდენლად ხვდება მიზანს. და შემთხვევითი არ არის, რომ ბარონი, რომელიც პირველად ქედ-მაღლურად, მსუბუქი დაცინვით, თავმომწონედ ელაპარაკებოდა ელისავეტპოლის მაზრის უფროსის თანაშემწეს—საუბრის ბოლოს უხერხულობას გრძნობს, ვეღარ უძლებს პოეტის ფხიზელ მზერას და თვალებ-დახრილი, დაბნეული დასცქერის თავის წაღებს, თანაც სიტყვა-ჩაწყვეტილი გაოგნებულივით ატრიალებს ოქროს ბეჭედს თითზე.

ხსენებულ დიალოგში ნათლად სჩანს არა მარტო ბარათაშვილის მახვილი ირონია, არამედ მისი უნაზესი სულიც. აი ერთი საუცხოო ფსიქოლოგიური მომენტი: კამერ-იუნკერმა თავის საუბარში უეცრად ეკატერინე ჭავჭავაძის — სამეგრელოს დედოფლის სახელი ახსენა. მან არაფერი იცის იმაზე, რომ ეს ქალი უპირველესი იყო ბარათაშვილის ოცნებათა შორის. ბარონი უნებურად შეეხო პოეტის სულის მტკივნეულ, ჯერაც მოურჩენელ ჭრილობას: „ბარათაშვილს თვალები დაუწვრილდნენ და, ცხვირისაკენ დაქანებულნი ქინძისთავივით მჭრელი გაუხდნენ. მათში წამიერად იფეთქეს ღამის ფერებმა“.

ამ შეხვედრის შემდეგ მოთხრობაში რეტროსპექტულად გადმოცემულია ბარათაშვილის წარსული წლების ცხოვრება. იმ დროის განჯის უფერული ცხოვრების ფონზე პოეტის სულში ღვიძებენ მიფერფლილი მოგონებანი. ახსენდება გაფრენილი დრო, როცა მოხელის ბუზმენტიანი სერთუკის ნაცვლად მას ყოლოსფერი ბეწვმოვლებული ქულაჯა ეცვა, როცა თავის სატრფოსთან ერთად ყოფნით მხიარული და ბედნიერი იყო. მოთხრობაში განჯის პეიზაჟი — ნანგრევები, მტვრიანი ქარი, ნაცრისფრად შელესილი ოა ბრტყელსახურავიანი სახლები. მიხვეულ-მოხვეული ქუჩები დახატულია ისე, რომ ეს ყველაფერი კიდევ უფრო ამძაფრებს. უფრო თვალსაჩინოს ხდის პოეტის სულიერ განწირულებას, აშუქებს მის სევდიან განწყობილებას. და მკითხველის თვალწინ სდგება მკვეთრი მხატვრული სახეებით გადმოცემული სურათი ბარათაშვილის სულიერი ტრაგედიისა.

მაგრამ გაცილებით მძაფრია და მწვავედ განცდილი ეს ტრაგედია მოთხრობის იმ თავში, როცელშიაც მწერალი აღწერს ბარათაშვილის უკანასკნელ წუთებს, მის სასიკვდილო აგონიას. აქ ყველაზე მკაფიოდ სჩანს მწერლის ოსტატობა, მისი სიფრთხილე ყოველი სიტყვის შერჩევაში. „დელირიუმში“ შესანიშნავად შერწყმულია და გამოსახული ორი პლანი — რეალური და ფანტასტიური. მთელი ცხოვრება პოეტისა აქ ზმანებაში გაივლის უკანასკნელად, აქაა უკანასკნელი შებრძოლება პოეტისა იმ მძიმე ხვედრთან, რომელმაც იგი ასე დასჩაგრა და არაფერში არ დაზოგა.

მოთხრობა ყურადღებას იქცევს პირველ ყოვლისა ავტორის ღრმა ერუდიციითა და სტილის ფაქიზი სისადავით. მასში ხანდისხან უბრალო დეტალი ცოცხლად აღბეჭდავს ადამიანის სახეს. მკაფიოდ, პლასტიურად გამოკვეთილნი არიან არა მარტო მთავარი გმირები, არამედ ეპიზოდური პერსონაჟებიც — თელაველი ქართველი ქალი, ეკლესიის ძცველი პონაროვსკი— „საცოდავი მონა უფლისა“, და ბოლოს ლოთი, მოქეიფე და ჩხუბის ოავი ოფიცრები, რომელთა დუელის აღწერით თავდება მოთხრობა.

მოთხრობაში არის ერთი საკითხი, რომლის გაშუქებაში ავტორს ვერ დავეთანხმებით. ჩვენის აზრით იგი გადაჭარბებულ როლს ანიჭებს ქრისტიანიზმის ელემენტს ბარათაშვილის სულიერ ცხოვრებაში. მართალია ბარათაშვილს ეკუთვნის „ჩემი ლოცვა“, რომელიც რელიგიური სასოებით და ექსტაზით არის აღსავსე, ქრისტიანული მოტივები არის მის სხვა ლექსებშიც. მაგრამ მაინც არ იქნება სწორი სახარება მისი რწმენის სიმბოლოდ ვაქციოთ.

საერთოდ კი აკ. გაწერელიას ეს მოთხრობა აუცილებლად არის ნამდვილი გამარჯვება მწერლისა მხატვრული პროზის ასეთ რთულ, ახალ ჟანრში და ასეთ ძნელ თემაზე.

ძოკანდაკე **სილოვან კაკაბაძე** მუშაობს საკერო კავშირის **ო. ჩეჩელაშვილის** ბიუსტზე.

ფილიმონ ქორიძე

ფილიმონ ქორიძე იყო პირველი ქართველი პროფესიონალი მომღერალი, რომელმაც 22 წელიწადი დაჰყო რუსეთისა და ევროპის საუკეთესო თეატრების სცენაზე და დიდის წარმატებით ჩაატარა გასტროლები ამერიკის შეერთებულ შტატებში. იგი იყო პირველი ქართველი მომღერალი, რომელმაც გადათარგმნა იტალიურ და რუსულ ენებზე ქართული სიმღერის ტექსტები. იგი იყო 80-იანი წლების ერთერთი დაუცხრომელი მოღვაწე, რომელმაც მთელი საქართველო მოიარა და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართული სიმღერა-გალობის გავრცელებას, მთელი საუკუნე შესწირა მას. ამასთან, ფილ. ქორიძე არის ჩვენი ეროვნული საუნჯის — სასულიერო საგალობლის შესანიშნავი მცოდნე და მოღვაწე.

არავის, არც მანამდე, არც მას შემდეგ, არ ჩაუწერია ჩვენში ამოდენა სასულიერო საგალობელი. ამ მხრივ ფ. ქორიძეს მე-19 საუკუნის მოღვაწეთა შორის ტოლი არა ჰყავს. იგი დაიბადა 1830-იან წლებში. გამოჩინებულის თქმაში (გურია), — მოკვდა ოჯახში.

ფ. ქორიძემ დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. შემდეგ იგი ხელმძღვანელობდა ეგზარქოსის გუნდს და თითონაც გალობდა გუნდში. მას აღმოაჩნდა შესანიშნავი დირსი (ბანი პროფუნდო). სიმღერის დროს ტაბუკის არაჩვეულებრივ ხმას ყურადღება მიაქცევს თბილისის იტალიური ოპერის მომღერლებმა. მათი რჩევით ფილიმონი გაემგზავრა იტალიაში.

1873 წელს ფ. ქორიძე გამოიწვიეს პეტერბურგს საამპერატორო ოპერისათვის. აქ იგი ასრულებდა ივან სუსანინის („ეიზენ ზა ცარია"), მეფისტოფელისა („ფაუსტი") და სხვა პარტიებს. პეტერბურგში ფ. ქორიძემ ბევრი ბენეფისი პატივისმცემელი მოიპოვა. აქ მან ცოლად შეირთო ზინაიდა მიხეილის-ასული ეკორობეკი. ეს იყო მეტად კულტურული ადამიანი, დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის კონსერვატორია (ფორტეპიანოს კლასი) და კარგად იცოდა ევროპული ენები. ცოტა ხნის შემდეგ ფილიმონმა დასტოვა პეტერბურგის საოპერატორო თეატრი და დაბრუნდა მილანში. იტალიურ სცენაზე იგი „ქორიჯის" ფსევდონიმით მოღვაწეობდა. 1876 წელს მილანში დაიბადა ჩვენი ცნობილი თეატრალური მოღვაწე მიხეილ ქორელი (ქორიძე). იგი იგონებს «იტალიელი სახალხო გმირის გარიბალდის მოსვლას მილანში. ხალხით გაჭედილ მოედანზე ისე ძლავრად მიაძახა მამამ: „ვივა, გარიბალდი!", რომ მთელმა ხალხმა ჩვენკენ მოიხედა, მე კი შიშით დავიზაფრე.

1880 წელს ფ. ქორიძე მოიწვიეს თბილისის საოპერო თეატრში. იმავე წლის 25 ივნისს სარწმუნოების თეატრში ფ. ქორიძემ გამართა პირველი კონცერტი. დიდი წარმატების გამო კონცერტი გამეორდა 27 ივნისს.

ახლად გამოჩენილი არტისტის საოცარმა ხმამ და ევროპელმა რეპერტუარმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თბილისელებზე. ამას მოწმობს იმ დროინდელი გაზეთების აღფრთოვანებული გამოძახილები.

გავდა თბილისის საოპერო თეატრთან დადებული ხელშეკრულების ვადა, ფ. ქორიძეს შეეძლო იტალიაში დაბრუნება და თავისი კარიერის განგრძობა, მაგრამ მშობლიური კულტურის სამსახურის წყურვილმა შესცვალა მისი ცხოვრების გზა.

გასული საუკუნის სამოციან წლებში საფუძველი ჩაეყარა „ქართველი გალობის აღმადგინებელი კომიტეტის" საქმიანობას. 1881 წ. ფ. ქორიძეს დაავალეს ქართული გალობა ნოტებზე გადაღება. ოპერაში სამსახურთან ერთად ფილიმონი სწერდა ნოტებზე ქართულ საგალობელ. საეკლესიო ოსტატების მელქ. ნაკაშიძის, ნ. კონტრიძის, მ. ბალანჩივაძისა და სხვათა შესრულებით.

1883 წლიდან ფ. ქორიძემ შეადგინა ტრიო ნ. კონტრიძის (პირვ. ხმა) და მ. ბალანჩივაძის (მეორე ხმა) მონაწილეობით. ბანს თითონ ძღეროდა და ლოტბარობდა კიდე